



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



თამარ ნუსუბიძე

# ასოცირების შეთანხმების შესრულების შეფასების ანბარიში

## ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელები და მომსახურება



# ასოციაციის შეთანხმების შესრულების შეფასების ანგარიში

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელები  
და მომსახურება

თამარ ნუცუბიძე

ივლისი 2019



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



ეს კვლევა შეიქმნა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი  
ტელეფონი: (+995 32) 2 39 90 19  
ელექტრონული ფოსტა: [office@csrdg.ge](mailto:office@csrdg.ge)  
[www.csrdg.ge](http://www.csrdg.ge)

# სარჩევი

1. შესავალი.....	5
2. ძირითადი დასკვნები.....	6
3. მეთოდოლოგია.....	7
4. ევროკავშირის გამოსაყენებელი საკანონმდებლო აქტები .....	7
5. საქართველოს მიერ განსახორციელებელი ვალდებულებები და მათი შესრულების ანალიზი.....	8
5.1. ეროვნულ მარეგულირებელი ორგანოებთან დაკავშირებული ვალდებულებები .....	9
5.1.1. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა.....	10
5.1.2. საჯარო კონსულტაციები.....	11
5.1.3. ეროვნული მარეგულირებლის მიერ ბაზრის განსაზღვრა და ანალიზი.....	11
5.1.4. ეროვნული მარეგულირებლის მიერ დავების გადანაცვების უფლებამოსილება .....	15
5.2. ელექტრონული კომუნიკაციების მიმწოდებელი პირების ავტორიზაციის წესთან დაკავშირებული ვალდებულებები .....	16
5.3. რესურსების მართვასთან დაკავშირებული ვალდებულებები.....	20
5.4. უნივერსალური მომსახურების ვალდებულება .....	27
5.5. რადიოსიხშირის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებული ვალდებულებები. ....	29
5.6. მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები .....	31
5.7. ტერმინოლოგიის უნიფიცირება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში.....	34
6. ვალდებულებების შესრულების ვადები.....	36
7. საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეფასება.....	37
7.1. „ელექტრონული კომუნიკაციების“ შესახებ საქართველოს კანონის ცვლილებების პაკეტის შეფასება .....	37
7.2. „დამმობილების პროექტის (ტვინინგის) მხარდაჭერით, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებების პროექტები .....	40
8. გამოყენებული ლიტერატურა.....	41

# 1. შესავალი

ტელეკომუნიკაციების სექტორი, ფიქსირებული სატელეფონო ქსელებით დაწყებული, ფართოზოლოვანი მომსახურების და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით დამთავრებული, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად სფეროს დღევანდელ მსოფლიოში და ჩვენი საზოგადოების ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. ტელეკომუნიკაციების სფერომ, მისი ცვლადი ბუნებიდან გამომდინარე (რაც გულისხმობს ტექნოლოგიურ ცვლილებებს, ტელეკომუნიკაციების მონოპოლიების კონკურენციით ჩანაცვლებას და ა.შ), ბევრი ცვლილება განიცადა გასული ორი დეკადის განმავლობაში, რაც აისახებოდა მის მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოზეც. მიიჩნევენ<sup>1</sup>, რომ ევროკავშირის მიერ დადგენილი სამართლებრივი ჩარჩო წარმოადგენს სექტორის რეგულირების მსოფლიოში აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც ეფუძნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ წლების განმავლობაში შემუშავებულ ძირითად პრინციპებს, და მისი მთავარი მიზანია მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, კონკურენტული ბაზრის შექმნა, ტელეკომუნიკაციების სფეროში ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის დაცვა და მუდამ კლებისკენ მიმართული კონკურენტული ფასების შენარჩუნება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საუკეთესო პრაქტიკის მიუხედავად, ტელეკომუნიკაციების რეგულირებისათვის არ არსებობს ერთი კონკრეტული „რეცეპტი“, რომლითაც მიიღწევა ზემოაღნიშნული მიზნები. საუკეთესო პრაქტიკა აჩვენებს, რომ სექტორი უნდა დარეგულირდეს იმ დოზითა და იმ სიმკაცრით, როგორც ამას მოითხოვს კონკრეტული ქვეყნის ბაზრის საჭიროება. ბაზრის ეფექტური რეგულირება კი ეკონომიკური ზრდის, ინვესტიციების მატების, დაბალი ფასების, ხარისხიანი მომსახურების, ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მზარდი პენეტრაციის გარანტიას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ასოცირების შეთანხმებით განისაზღვრა მინიმუმი მოთხოვნები საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროსთვის. პრიორიტეტად მიჩნეულია: ეროვნული მარეგულირებლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა; ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიმწოდებლებისათვის ბარიერების შემცირება; ყველა მომხმარებლისთვის, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ელექტრონულ კომუნიკაციებზე წვდომის გარანტირებული უფლება; მომხმარებელთა პირადი მონაცემების სათანადო დაცვა; ბაზრის ანალიზი და შესაბამისი რეგულაციების მიღება, რათა სამართლებრივი ჩარჩო იძლეოდეს დომინანტი კომპანიების კონტროლისა და კონკურენტული გარემოს შექმნის საშუალებას; ასევე, იმ ამონურვადი რესურსების (ნუმერაციისა და რადიოსიხშირული სპექტრის რესურსები) სათანადოდ განკარგვა, რომლის უფლებაც მინიჭებული აქვს ეროვნულ მარეგულირებელს.

წინამდებარე ანგარიში (შემდგომში „ანგარიში“) მომზადდა პროექტის – „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ – ფარგლებში და მოიცავს ევროასოცირების შეთანხმებით (შემდგომში „ასოცირების შეთანხმება“) საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეფასებას ელექტრონული კომუნიკაციის საკითხებში, კერძოდ, ელექტრონული კომუნიკაციის ასოცირების შეთანხმების მე-4 კარის მე-6 თავის მე-5 ნაწილის მე-5 ქვენაწილით და XV-B დანართით განსაზღვრული საკითხების ანალიზს.

ანგარიშში მოცემული დასკვნები წარმოადგენს ავტორის პირად შეფასებებს და შესაძლებელია, არ ემთხვეოდეს პროექტის – „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის“-განმარტვილებელთა პოზიციას. შესაბამისად, პროექტის განმარტვილებები პასუხისმგებელი არ არიან წინამდებარე ანგარიშის შინაარსზე.

1 <https://ec.europa.eu/digital-single-market/en/standardisation>

## 2. ძირითადი დასკვნები

ანგარიში მიმოიხილავს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და აფასებს საქართველოში მისი განახორციელების ხარისხს.

**ვადები.** საქართველოს მხრიდან დარღვეულია ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადები (2017 წლის სექტემბერი). ჯერჯერობით, მხოლოდ უნივერსალური მომსახურების დანერგვის ვადა (2019 წლის სექტემბერი) არ არის გადაცდენილი. ფორმალური შეთანხმებით, ასოცირების შესრულების საერთო ვადა გადაინია, რაც განისაზღვრა 2018-2020 წლებით, მაგრამ ასოცირების შეთანხმების დოკუმენტში შესაბამისი ცვლილება არ განხორციელებულა, ამდენად, ითვლება, რომ ასოცირების შეთანხმების შესრულების ვადები (გარდა უნივერსალური მომსახურებისა) დარღვეულია. ასოცირების დღის წესრიგის თანახმად კი, საქართველომ 2020 წლამდე სისრულეში უნდა მოიყვანოს ნაკისრი ვალდებულებები.

**შესაბამისობა.** შესაბამისობის შეფასებისას დადგინდა, რომ რიგი ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო მექანიზმები უკვე ასახულია ქართულ კანონმდებლობაში, თუმცა ეს არ უკავშირდება საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებულ ქმედებებს. ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის შემუშავებისას მოხდა ევროკავშირის რეგულაციების გამოყენება. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში, ამ ანგარიშის წარმოდგენამდე არ შესრულებულა. კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისია (შემდგომში „კომისია“) უფლებამოსილების ფარგლებში, ცდილობდა გაეზიარებინა ევროპული პრაქტიკა, რამდენადაც ეს შესაძლებელია შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების არარსებობის პირობებში. ფორმალურ შესრულებაში მოიაზრება კანონმდებლობის ცვლილება ან ახალი რეგულირების დაწესება.

**პროგრესი.** ასოცირების შეთანხმებით, ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად კომისიის მიერ გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მომზადდა სექტორის მთავარი მარეგულირებელი კანონის – „საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ ცვლილებების პაკეტი, რომელიც ადგენს ცვლილებებს დირექტივებთან შესაბამისობის მისაღწევად, გარდა უნივერსალური მომსახურების დირექტივისა, რომელიც 2017 წლის ბოლოს გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს, რომელსაც ჯერ კიდევ არ წარუდგენია ის პარლამენტში. კომისიის მიერ მომზადდა რიგი ნორმატიული აქტებისა, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი მათგანი არ არის ოფიციალურად დამტკიცებული. ამგვარად, წინასწარი, მოსამზადებელი ზომების მიღების თვალსაზრისით, კომისიის მიერ გადადგმულია შესაბამისი ნაბიჯები, მაგრამ ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან, გაურკვეველი მიზეზების გამო, არ ხდება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების ინიცირება. ანგარიშში შეფასებულია, აგრეთვე, წარდგენილი პროექტის შესაბამისობა ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებთან. პროექტი შესაბამისობაშია მარეგულირებელი დირექტივის ოთხ მოთხოვნასთან, თუმცა შეთავაზებული ცვლილებები არ მოიცავს უნივერსალური მომსახურების დანერგვის ვალდებულებასთან დაკავშირებულ დებულებებს. ამ საკითხთან დაკავშირებული შესაძლო მიღებული ზომების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

### 3. მეთოდოლოგია

ანგარიში ეფუძნება ინდივიდუალური კონსულტანტის მიერ წარმოებულ სამაგიდო კვლევას, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნა მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომი და ადვილად მოძიებადი ინფორმაცია. კერძოდ, საქართველოს ოფიციალურ საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებული საკანონმდებლო აქტები, ევროკომისიის ოფიციალურ წყაროებში განთავსებული საკანონმდებლო აქტები და ელექტრონულ კომუნიკაციებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

შეფასებულია ასოცირების შეთანხმება, საქართველოსა და ევროკავშირის შორის შეთანხმებული 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა და ამავე გეგმით განერილი შესრულების ინდიკატორები – ელექტრონულ კომუნიკაციების სფეროში<sup>2</sup>, თითოეული ვალდებულების განხილვისას, შეფასებულია მისი შესრულების ხარისხი შემდეგი დათქმით: „შესაბამისობაშია“ ან „არ შესრულდა“. იმ შემთხვევაში, როდესაც ცნობილია ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული წინასწარი სამუშაოების შესახებ, ანგარიში დამატებით იძლევა აღნიშნული კანონპროექტების, სტრატეგიებისა და სხვა დოკუმენტების შესახებ ინფორმაციას. რადგან წინამდებარე ანგარიშის მიზანია ვალდებულებების შესრულების შეფასება, რაც ცალსახად მოიაზრებს ნორმატიული აქტის დონეზე ცვლილებას ან ახალ ნორმატიულ აქტს, წინასწარი, მოსამზადებელი ნაბიჯები შესრულების ხარისხის განსაზღვრისას შეფასებულია როგორც „არ შესრულდა“, მაგრამ შემდგომ აღწერილია და განმარტებული გატარებული ღონისძიებები. გარკვეული „შეუსაბამობის“ შემთხვევების ჩამოთვლისას განმარტებულია შეუსაბამობის არსი. ნაწილობრივი „შეუსაბამობაც“ სახელდება როგორც „შეუსრულებლობა“.

ელექტრონული კომუნიკაციების სფერო, გარკვეულწილად, უკვე მორგებული იყო ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ცვლილებების განხორციელების გარეშე დადგენილია შესაბამისობა ევროკავშირის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან, ანგარიშში გაკეთებულია მითითება „შესაბამისობაშია“.

ყვითლად ( ) მონიშნული „შეუსაბამობები“ მიუთითებს ნაწილობრივ შეუსაბამობას, ხოლო წითლად ( ) მონიშნული – სრულ შეუსაბამობას ან/და კონკრეტული რეგულაციების არარსებობას.

### 4. ევროკავშირის ბამოსაყენებელი საკანონმდებლო აქტები

ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში ევროკავშირის მარეგულირებელი ნორმები, რომელთა გადმოტანაც დაევალა საქართველოს, მოიცავს შემდეგ ხუთ დირექტივასა და ერთ გადაწყვეტილებას:

- (i) ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 7მარტის დირექტივა №2002/21/EC ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების ზოგადი მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ (**ჩარჩოდირექტივა**), რომელიც შესწორდა №2009/140/EC დირექტივითა და №544/2009 რეგლამენტით;
- (ii) ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 7მარტის №2002/20/EC დირექტივა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების ავტორიზაციის შესახებ (**ავტორიზაციის შესახებ დირექტივა**), რომელიც შესწორდა №2009/140/EC დირექტივით;
- (iii) ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 7მარტის დირექტივა №2002/22/EC უნივერსალური მომსახურებებისა და ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებსა და მომსახურებებთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებების შესახებ (**უნივერსალური მომსახურებების შესახებ დირექტივა**), რომელიც შესწორდა 2009/136/EC დირექტივით;
- (iv) ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 12 ივლისის 2002/58/EC დირექტივა პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში კონფიდენციალობის დაცვის შესახებ (**კონფიდენციალობის დაცვისა და კავშირის ელექტრონული საშუალებების შესახებ დირექტივა**), რომელიც შესწორდა 2006/24/EC და 2009/136/EC დირექტივებით;
- (v) 2002 წლის 7მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/19/EC დირექტივა ელექტრონულ სა-

2 <http://www.dcfra.gov.ge/public/filemanager/implimentation/2018-2020%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf>



კომუნიკაციო ქსელებთან და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთ-ჩართვის შესახებ (დაშვების მინიჭების შესახებ დირექტივა), რომელიც შესწორდა 2009/140/EC დირექტივით;

(vi) 2002 წლის 7 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 676/2002/EC გადაწყვეტილება ევროპული გაერთიანების ფარგლებში რადიოსიხშირული სპექტრის პოლიტიკის მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ.

აღნიშნული აქტები წარმოადგენს ევროკავშირის ე.წ. „ტელეკომპაკეტის“ შემადგენელ ნორმატიულ აქტებს. 2018 წლის ბოლოს აღნიშნული პაკეტის გაერთიანება მოხდა ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსში, რომელმაც შეცვალა რიგი რეგულაციები. ამჟამად მიმდინარეობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის გადახედვა. იმდენად, რამდენადაც ასოცირების შეთანხმება არ ითვალისწინებს საქართველოს ვალდებულებას, გაითვალისწინოს ევროკავშირის ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებები, მის შესასრულებლად რჩება ტელეკომპაკეტში მოცემული რეგულაციები.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მიერ ევროკავშირის სამართალთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით, ასოცირების საბჭო პერიოდულად გადახედავს ხოლმე შეთანხმების დანართებს, რათა მასში ასახოს ევროკავშირის სამართლისა და მხარეთა შორის აღიარებული საერთაშორისო დოკუმენტებში არსებული სტანდარტები.<sup>3</sup> შესაბამისად, საქართველოს შეიძლება დაევალოს განახლებულ პერსონალურ მონაცემთა რეგულაციებს<sup>4</sup> და ევროკავშირის ახალ ტელეკომუნიკაციების კოდექსთან<sup>5</sup> მისადაგება.

ევროკავშირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების რეფორმა განხორციელდა 2002 წელს და გადაიხედა 2009 წელს. აღნიშნული რეფორმა მიზნად ისახავდა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის გაძლიერებას, ინვესტიციების ხელშეწყობას, მომხმარებელთათვის არჩევანის თავისუფლების, ინოვაციური მომსახურების მაღალი ხარისხითა და დაბალი ფასით სარგებლობის უზრუნველყოფას.

ევროკავშირის ტელეკომუნიკაციების პაკეტის 2009 წლის ცვლილებები განპირობებული იყო სექტორის სწრაფი განვითარებით. პაკეტი მოიცავს ზემოთ მითითებულ ერთ ჩარჩო დირექტივას, ოთხ სპეციალურ დირექტივასა და ორ რეგულაციას და შემდგომ მიღებულ რეგულაციებს, რომლებიც განსაზღვრულია კონკრეტული მომსახურებებისათვის, მაგ. რადიოსიხშირული სპექტრი, როუმინგი და ა.შ.

## 5. საქართველოს მიერ განსახორციელებელი ვალდებულებები და მათი შესრულების ანალიზი

ასოცირების დღის წესრიგით 2017-2020 წლებისათვის განისაზღვრა ქვემოთ ჩამოთვლილი ვალდებულებები, რომლის შესასრულებლადაც ანგარიშვალდებულია კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისია (როგორც სექტორის ეროვნული მარეგულირებელი ორგანო) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (როგორც სექტორის პოლიტიკის განმსაზღვრელი). აღსანიშნავია, რომ დღის წესრიგი არ მოიცავს ვალდებულებების შესრულების ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ნორმატიული აქტის მიღება, კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანა. ასევე არ ადგენს ვალდებულებების შემსრულებელ პასუხისმგებელ ორგანოს ან პირს, რაც ართულებს შესაფერისი მონიტორინგის ჩატარებას. დღის

წესრიგი განსაზღვრავს მხოლოდ ვალდებულებათა ჯგუფებს და შემოიფარგლება მსგავსი, ზოგადი ფრაზებით: „ჰარმონიზაციისადმი მიმართული ძალისხმევა“ და სხვ. მაგალითად:

- ევროკავშირის კანონმდებლობასთან ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კანონმდებლობის ჰარმონიზაციისადმი მიმართული ძალისხმევა;
- კომუნიკაციების სფეროში ეროვნული მარეგულირებლის დამოუკიდებლობისა და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებისკენ მიმართული ქმედებები, რომლის მიზანი იქნება მარეგულირებლის მიერ შესაბამისი რეგულაციური ზომების მიღების შესაძლებლობის უზრუნ-

3 ასოცირების შეთანხმების 418 მუხლი;

4 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია- <https://gdpr-info.eu/>;

5 ახალი ტელეკომუნიკაციების კოდექსი, რომელიც აერთიანებს ტელეკომ პაკეტის დირექტივებს და იძლევა სექტორის საერთო რეგულირებას - <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32018L1972&from=EN>

ველყოფა (რაც მოიცავს მარეგულირებლის მიერ ბაზრის წინასწარი რეგულირების უფლებას და ა.შ.), ყველა შესაბამისი რეგულაციის აღსრულება და ბაზარზე სამართლიანი კონკურენციული გარემოს შექმნა.

სექტორის გაძლიერება პროექტის – „ევროპა 2020“ – ინიციატივის „ციფრული დღისწესრიგი ევროპისთვის“ ფარგლებში, რაც გულისხმობს ინფორმაციის გაცვლისა და საჭირო გამოცდილების გაზიარებას. შესრულების ვადების დეტალური ანალიზი მოცემულია ანგარიშის მე-6 თავში.

## 5.1. ეროვნულ მარეგულირებელი ორგანოებთან დაკავშირებული ვალდებულებები

### 5.1.1. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა

<p><b>ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კომპეტენტური ორგანოს არსებობა.</b><sup>6</sup> ეროვნული მარეგულირებლისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულება უნდა მოხდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.<sup>7</sup></p>	<p><i>შესაბამისობაშია</i></p>
<p><b>ეროვნული მარეგულირებლის დამოუკიდებლობა.</b><sup>8</sup> ეროვნული კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს ეროვნული მარეგულირებლის დამოუკიდებლობას, რაც გულისხმობს მის სამართლებრივ და ფუნქციონალურ განცალკევებას ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების ყველა მიმწოდებლისგან.</p>	<p><i>შესაბამისობაშია</i></p>
<p>ეროვნული მარეგულირებელი ვალდებულია განახორციელოს მისი უფლებამოსილება მიუკერძოებლად, გამჭვირვალედ და დროულად. ეროვნულ მარეგულირებელს უნდა გააჩნდეს სათანადო ფინანსური და ადამიანური რესურსი თავისი ფუნქციების შესასრულებლად.</p>	<p><i>შესაბამისობაშია</i></p>
<p>ეროვნული მარეგულირებელი უნდა იყოს დამოუკიდებელი მის მიერ ბაზრის წინასწარი რეგულირების დადგენისას<sup>9</sup> და დავების გადაწყვეტისას. აღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას არ უნდა ექვემდებარებოდეს და იმართებოდეს (ინსტრუქციას იღებდეს) სხვა ორგანოსაგან. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ სააპელაციო ინსტიტუციას (გასაჩივრების შემთხვევაში) უნდა შეეძლოს ეროვნული მარეგულირებლის გადაწყვეტილების გადახედვა და შეცვლა.</p>	<p><i>შესაბამისობაშია</i></p>
<p><b>მარეგულირებლის ხელმძღვანელის/წევრების გათავისუფლება.</b><sup>10</sup> ეროვნული მარეგულირებლის ხელმძღვანელის ან კოლეგიალური ორგანოს წევრები უნდა განთავისუფლდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აღარ ასრულებენ კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებს. განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება უნდა გასაჯაროვდეს მყისიერად. პირს უნდა მიეცეს სათანადო ახსნა – განმარტება, რაც მისი სურვილის შემთხვევაში გამოქვეყნდება.</p>	<p><i>არ შესრულდა</i></p>

6 ჩარჩო დირექტივა, მუხლი 3.1;

7 დირექტივა უშვებს, რომ ეროვნული მარეგულირებლის ფუნქციები შესრულდეს სხვა ორგანოს მიერაც, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს დირექტივით განსაზღვრული მოთხოვნები, მაგ. სტრუქტურული განცალკევებულობა, დამოუკიდებელი ბიუჯეტი და ა.შ.

8 ჩარჩო დირექტივა, მუხლი 3.2;

9 **Ex ante** ანუ ბაზრის წინასწარი რეგულირება, რაც გულისხმობს შესაბამისი ბაზრის წინასწარ კვლევას და შესაბამისი მოთხოვნების დადგენას. წინასწარი რეგულირების საწინააღმდეგო ცნებაა **ex post** (შემდგომი) რეგულირება, რომლის დროსაც ეროვნული მარეგულირებელი რეაგირებს სპეციფიკურ დარღვევაზე ან ბაზრის შეუსაბამო ფუნქციონირებაზე. ეს ანტე რეგულირების დროს შესაძლებელი ხდება ბაზრის არასწორი მიმართულების შეცვლა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ტელეკომუნიკაციების სფეროში.

10 ჩარჩო დირექტივა, მუხლი 3.3.ა

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული მარეგულირებლის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები მოცემულია კანონში, ცდომილება მდგომარეობს შემდეგში: საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წევრებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა ხორციელდება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, რომელიც გამოქვეყნებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამავე აქტში არის აღნიშნული გამოქვეყნების ვალდებულება. კანონმდებლობა არ შეიცავს, ასევე, კომისიის წევრების უფლებას, გათავისუფლების შემთხვევაში მოითხოვონ გადაწყვეტილების გამოქვეყნება.

დამოუკიდებელი ბიუჯეტი.<sup>11</sup> ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს უნდა გააჩნდეს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომელიც იქნება საჯარო.

შესაბამისობაშია

კონკურენციის საკითხებში თანამშრომლობის ვალდებულება.<sup>12</sup> ეროვნული მარეგულირებლისთვის დაკისრებული ვალდებულებები უნდა იყოს გამოქვეყნებული, საჯარო და მარტივად ხელმისაწვდომი. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღნიშნული ვალდებულებები ეხება ერთზე მეტი ორგანოს ფუნქციებს. კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობით უზურნველყოფილი უნდა იყოს საკონსულტაციო პროცედურები და თანამშრომლობის მექანიზმები ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსა და კონკურენციის მარეგულირებელ ორგანოს შორის. როდესაც ერთზე მეტი ორგანოა პასუხისმგებელი კონკურენციის საკითხებზე, თითოეული მათგანის ვალდებულება გამოქვეყნებული და ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამასთან, ეროვნული მარეგულირებელი ორგანო და კონკურენციის მარეგულირებელი ორგანო ვალდებულები უნდა იყვნენ, მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირების საკითხებზე, სათანადო კონფიდენციალობის დაცვით.

არ შესრულდა

კონკურენციის სააგენტოსა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანამშრომლობის საკითხები კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის. კონკურენციის შესახებ კანონში არის ჩანაწერი, რომ კონკურენციის სააგენტო თანამშრომლობს მარეგულირებელ ორგანოებთან.<sup>13</sup> ასევე, კომისიის ვალდებულებაა, საზოგადოებასთან იქონიოს ღია, საჯარო და გამჭვირვალე ურთიერთობა<sup>14</sup>, თუმცა, ევროკავშირის ჩარჩო დირექტივის ანალოგიური ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობაში არ მოიპოვება. კონკურენციის უზრუნველსაყოფად ამ ორ ორგანოს შორის სათანადო თანამშრომლობის რეგულირება საკანონმდებლო დონეზე გადამწყვეტია ელექტრონული კომუნიკაციების ყველა ბაზრისათვის.<sup>15</sup> მნიშვნელოვანია, მოვალეობის შესრულებისას არ მოხდეს ორი სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილებათა გადაკვეთა და, პირიქით, ერთგვაროვანი სტანდარტებითა და მეთოდოლოგიით მოხდეს კონკურენციის უზრუნველყოფა ორივე ორგანოს მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში.

11 ჩარჩო დირექტივა, მუხლი, 3.3.

12 ჩარჩო დირექტივა, მუხლი 3.5;

13 კონკურენციის შესახებ კანონი, მუხლი 30;

14 ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის მუხლი 11.3 “თ“;

15 რიგ შემთხვევებში შეიძლება კონკურენციის ანალიზი ტელეკომუნიკაციების სექტორში გასცდეს ეროვნული მარეგულირებლის ფუნქციას და დაევალოს კონკურენციის სააგენტოს. ამიტომ, ჯერ ერთი, მათ უნდა გააჩნდეთ კანონისმიერი თანამშრომლობის ვალდებულება (რადგან ტელეკომუნიკაციების ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოითხოვს სპეციალურ ცოდნას) და მეორე, უნდა არსებობდეს შეფასების ერთგვაროვანი მეთოდოლოგია;

### 5.1.2. საჯარო კონსულტაციები

<p><b>საჯარო განხილვის მონყობის ვალდებულება.</b><sup>16</sup> იმ შემთხვევაში, როდესაც მარეგულირებელი ორგანო მიმართავს რომელიმე ღონისძიებას (გადაწყვეტილება, წინასწარი რეგულირება და ა.შ.), რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შესაბამის ბაზარზე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების უფლება, გონივრულ ვადაში წარმოადგინონ თავიანთი კომენტარები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მარეგულირებელმა ორგანომ უნდა გამოაქვეყნოს მათი საკონსულტაციო განხილვების შესახებ ინფორმაცია.</p>	<p>არ შესრულდა</p>
<p><b>შედეგების ხელმისაწვდომობა.</b> საკონსულტაციო განხილვების შედეგები უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.</p>	<p>არ შესრულდა</p>
<p>საკონსულტაციო განხილვების შესახებ ინფორმაციის მიღება უზრუნველყოფილი უნდა იყოს ერთი საინფორმაციო წყაროდან.</p>	<p>არ შესრულდა</p>
<p><i>საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი არ არის საჯარო საკონსულტაციო პროცედურები, ის საკითხები, რომლებიც ექვემდებარება საჯარო განხილვას, ვადები და სხვა დეტალები. არ არსებობს ერთი წყარო, სადაც მოიპოვება ეს ინფორმაცია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კანონის ზოგადი რეგულირებით დადგენილია კომისიის სხდომათა საჯაროობა. კომისიის ყველა დადგენილება, გადაწყვეტილება, ბრძანება, ჩანაწერი და სხვა დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო განხილვისათვის, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. კომისიის ვალდებულებაა, უზრუნველყოს პროცესის გამჭვირვალობა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.<sup>17</sup> ასევე, პოზიტიური კუთხით აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სათანადო ნორმატიული ბაზის და პროცესის არარსებობისა, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია რიგ შემთხვევებში ორგანიზებას უწევს მნიშვნელოვანი საკითხების საჯარო განხილვას, რომელთა შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია კომისიის ვებ-გვერდზე.<sup>18</sup> თუმცა დირექტივის ცალსახა მოთხოვნაა, რომ კანონით იქნას დარეგულირებული ის საკითხები, რაც, საჭიროებს საჯარო კონსულტაციებს და ასევე, კანონითვე განისაზღვროს საჯარო კონსულტაციების მონყობის პროცედურები.</i></p>	

### 5.1.3. ეროვნული მარეგულირებლის მიერ ბაზრის განსაზღვრა და ანალიზი

<p><b>მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება.</b><sup>19</sup> ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს უნდა გააჩნდეს ვალდებულება, რომ კანონით განერილი პროცედურების შესაბამისად დაადგინოს მომსახურების მიმწოდებლის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება.</p>	<p>არ შესრულდა</p>
<p>მომსახურების მიმწოდებელი ჩაითვლება „მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების“ მქონედ იმ შემთხვევაში, თუ მას ბაზარზე ინდივიდუალურად ან ბაზრის სხვა მონაწილესთან (მონაწილეებთან) ერთად გააჩნია დომინირებულის ეკვივალენტური პოზიცია, რაც გულისხმობს ეკონომიკურ უპირატესობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, ბაზარზე იმოქმედოს კონკურენტების, კლიენტების და მომხმარებლისაგან დამოუკიდებლად;</p>	<p>არ შესრულდა</p>

16 ჩარჩო დირექტივა, მუხლი 6;

17 საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 7;

18 <http://gncc.ge/ge/agenda>

19 ჩარჩო დირექტივა, მუხლი 14;

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განმარტება და მისი დადგენის კრიტერიუმები განსხვავებულია დირექტივით განსაზღვრული კრიტერიუმებისგან. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობით, მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როცა კომისიის მიერ ჩატარებული ანალიზი ადასტურებს, რომ ავტორიზებულ პირს არ ჰყავს კონკურენტები, დაცულია მნიშვნელოვანი კონკურენციისაგან ან მისი კონკურენტული პოზიცია საშუალებას აძლევს მას, ცალმხრივად არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზრის ამ სეგმენტზე და შეზღუდოს კონკურენცია.<sup>20</sup> დირექტივის მიხედვით, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება მოიაზრებს დომინირებულ მდგომარეობას, რაც გულისხმობს კონკურენტების, კლიენტებისა და მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას. ხოლო ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში არსებული განმარტებით, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება გულისხმობს მდგომარეობას, სადაც ავტორიზებულ პირს კონკურენტი არ ჰყავს, ბაზარზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება აქვს და ზღუდავს კონკურენციას. შესაბამისად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ტესტი დირექტივის მიხედვით ეფუძნება შემდეგ კრიტერიუმს: შესაძლებლობას, რომ იმოქმედოს პირმა კონკურენტებისგან დამოუკიდებლად. ხოლო კონკურენციის კანონი ითვალისწინებს იმას, რომ (ა) ზეგავლენა მოახდინოს ბაზარზე (ბ) შეზღუდოს კონკურენცია (გ) არ გააჩნდეს პირს კონკურენტები და (დ) პირი დაცული იყოს მნიშვნელოვანი კონკურენციისაგან. შესაბამისად, ამ ორი ტესტის შედეგად, შესაძლებელია სრულიად განსხვავებული შედეგების მიღება, რაც ცდლობილებაში იქნება ევროკავშირის პრაქტიკასთან. მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების გამოვლენა და შესაბამისი წინასწარი ღონისძიებების გატარება არის ეროვნული მარეგულირებლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვალდებულება.

ერთობლივი საბაზრო ძალაუფლება.<sup>21</sup> როდესაც ეროვნული მარეგულირებელი ორგანო აფასებს ორი ან მეტი მომსახურების მიმწოდებლის ერთობლივ მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებას ბაზარზე, უნდა დაეყრდნოს ბაზრის ანალიზისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების სახელმძღვანელო დოკუმენტს <sup>22</sup>, ასევე კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრულია დირექტივის დანართი 2-ით.

**არ შესრულდა**

20 ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის მუხლი 2 „3“2;  
 21 ჩარჩო დირექტივა, მუხლი 14.2;  
 22 ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბერეკი (ევროკავშირის ტელეკომუნიკაციების საერთო მარეგულირებელი) საჭიროებისამებრ შეიმუშავებს და აქვეყნებს სახელმძღვანელო წესებს, რომელიც წევრი ქვეყნების ეროვნული მარეგულირებლებისათვის არის სავალდებულო.

საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განმარტება შეუსაბამობაშია ევროკავშირის ჩარჩო დირექტივასთან. კანონის განმარტებით, ავტორიზებული პირების ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება მოიაზრებს მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ორი ან მეტი ავტორიზებული პირის ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლებას, ანუ ისეთი მდგომარეობას, როცა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებული ანალიზი ადასტურებს, რომ ბაზრის ამ სეგმენტზე ჩამოყალიბებული კონიუნქტურა და კონკურენციის მახასიათებლები მათი შეთანხმებულად მოქმედებისა და ბაზარზე არაკონკურენტული უპირატესობის ერთობლივად მოპოვების შესაძლებლობას იძლევა, მაშინაც კი, თუ მათ შორის არ არსებობს სტრუქტურული ან სხვა სახის, მათ შორის, სახელშეკრულებო ურთიერთობები<sup>23</sup>. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია შეზღუდვები, კერძოდ, რამდენიმე ავტორიზებული პირი განიხილება ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე:

- ა) ორი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 60 პროცენტს, ამასთან, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 25 პროცენტისა;
- ბ) სამი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 80 პროცენტს, ამასთან, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 15 პროცენტისა. შესაბამისად, გადამწყვეტია შეფასების კრიტერიუმები, ანუ ის რეგულირება, რის თანახმადაც ტარდება ბაზრის ანალიზი, რაც თავის მხრივ, შესაბამისობაშია მოსაყვანი ევროდირექტივასთან.

დირექტივის მიხედვით, არ არის დადგენილი მექანიკური პროცენტული მაჩვენებლები ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების განსასაზღვრად და აღნიშნულია, რომ ორი ან მეტი ორგანიზაცია შეიძლება აღმოჩნდეს ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების პოზიციაზე, თუ, მათ შორის სტრუქტურული ან სხვა სახის კავშირების არარსებობის შემთხვევაშიც კი, ისინი ეწევიან საქმიანობას იმ ბაზარზე, რომელიც ხასიათდება ნაკლებად ეფექტური კონკურენციით და სადაც არც ერთი ორგანიზაცია არ სარგებლობს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლებით. ერთობლივი დომინირების შესახებ ევროპული გაერთიანების მოქმედი კანონმდებლობისა და ევროპული გაერთიანების სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს შემთხვევას, როდესაც ბაზარი არის კონცენტრირებული და გააჩნია რიგი მახასიათებლები, რომელთაგანაც შესაძლებელია იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი ელექტრონული კომუნიკაციების კონტექსტში შემდეგი:

- მოთხოვნის დაბალი მოქნილობა;
- მსგავსი საბაზრო წილები;
- გადასალახი უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური ბარიერები;
- ვერტიკალური ინტეგრირება მიწოდებასთან დაკავშირებით კოლექტიურთან ერთად;
- მყიდველი არასაკმარისი ანაზღაურების უფლებამოსილება;
- მძლავრი კონკურენციის დეფიციტი.

ზემოაღნიშნული წარმოადგენს პირობით ჩამონათვალს<sup>24</sup> და არ ითვალისწინებს ამომწურავ ან კუმულაციურ კრიტერიუმებს. აღნიშნული ჩამონათვალი დირექტივაში გათვალისწინებულია მხოლოდ მტკიცებულების ტიპის ილუსტრირების მიზნით, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთობლივი დომინირების არსებობის დასამტკიცებლად.

23 ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის მუხლი 2 „ზ“;

24 ჩარჩო დირექტივის დანართი 2;

<p><b>ბაზრის ანალიზის წესი.</b> ბაზრის კველვა უნდა იყოს რეგულარული, მაქსიმუმ 3 წელიწადში ერთხელ.<sup>25</sup> იმ შემთხვევაში, თუ მარეგულირებელი ორგანო მიიჩნევს, რომ შესაბამისი ბაზარი არ არის კონკურენტული, მან უნდა დაადგინოს ამ ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე მომსახურების მიმწოდებლები და დააკისროს მათ კონკრეტული ვალდებულებები, ან შეიტანოს ამ ვალდებულებებში შესწორებები. იმ შემთხვევაში, თუ მარეგულირებელი ორგანო მიიჩნევს, რომ ბაზარი კონკურენტულია, ბაზრის მონაწილეებს არ უნდა დააკისროს ახალი ვალდებულება და ძალაში დატოვოს ძველი.</p> <p>როდესაც დადგენილია მომსახურების მიმწოდებლის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება კონკრეტულ ბაზარზე (პირველი ბაზარი), შესაძლოა აღმოჩნდეს მისი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა ბაზარზე (მეორე ბაზარი), სადაც ბაზრებს შორის კავშირი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მეორე ბაზარზე გავრცელების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომ აღიკვეთოს მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე სუბიექტის ბერკეტების მოქმედება მეორე ბაზარზე. აღნიშნული შეეხება ურთიერდაშვების სპეციალურ წესებსა და უნივერსალური მომსახურების სპეციალურ წესებს მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე სუბიექტთათვის.<sup>26</sup></p>	<p><b>არ შესრულდა</b></p>
<p><i>საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს ბაზრის კვლევის ინტერვალებს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დაშვება, რომ თუ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებულ პირს აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, მას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება აქვს ასევე ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტზე,<sup>27</sup> წინააღმდეგობაშია დირექტივასთან. განმარტებისათვის დირექტივა უშვებს აღნიშნულის მხოლოდ ვარაუდს, რაც შესაბამისი ბაზრის კვლევით უნდა შემოწმდეს, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით მნიშვნელოვანი ძალაუფლება კონკრეტულ ბაზარზე თავისთავად მოიაზრებს იმავე ძალაუფლებას მის მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტზე.<sup>28</sup></i></p>	
<p>ეროვნული მარეგულირებელი ორგანო შესაბამისი გეოგრაფიული ბაზრების განსაზღვრისას ვალდებულია მხედველობაში მიიღოს სახელმძღვანელო წესები, რეკომენდაციები<sup>29</sup> და კონკურენციის კანონმდებლობის პრინციპები. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ბაზარი განსხვავდება დადგენილი რეკომენდაციებისაგან, მოაწყოს საკითხის საჯარო განხილვა.<sup>30</sup></p> <p>ეროვნული მარეგულირებელი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, ჩაატაროს შესაბამისი ბაზრის კვლევა, ეროვნული კონკურენციის ორგანოებთან ერთად.<sup>31</sup></p>	<p><b>არ შესრულდა</b></p>

25 ჩარჩო დირექტივა, მუხლი 16.6  
26 ჩარჩო დირექტივა, მუხლი 14  
27 ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის მუხლი 22.7;  
28 დირექტივით არსებობს დაშვება, რომ თუ კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება ერთ ბაზარზე, შეიძლება ეს ძალაუფლება გავრცელდეს მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა ბაზარზე (მაგ. თუ საბითუმო ინტერნეტ ბაზარზე აქვს მნიშვნელოვანი ძალაუფლება, შესაძლებელია მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ საცალო ინტერნეტ ბაზარზეც ჰქონდეს იგივე ზეგავლენა). საქართველოს კანონმდებლობით დაშვება კი არ არსებობს, არამედ პირდაპირ იგულისხმება, რომ დაკავშირებულ ბაზარზეც აქვს ამ კომპანიას იგივე ძალაუფლება, რაც არის დირექტივებთან შეუსაბამობა. დირექტივის მიხედვით, უნდა ჩატარდეს შესაბამისი ბაზრის ანალიზი, რათა განისაზღვროს აქვს თუ არა ამ კომპანიას პირველი ბაზრის მსგავსი ძალაუფლება მეორე ბაზარზე. საქართველოს კანონმდებლობით კი ავტომატურად იგულისხმება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება მეორე ბაზარზე.  
29 იგულისხმება ბერკეტის (ევროკავშირის ელექტრონული კომუნიკაციების საერთო მარეგულირებელი ორგანო) წესები, რომლებიც ადგენს ბაზრის განსაზღვრის წესებსა და სტანდარტებს და ა.შ.  
30 ჩარჩო დირექტივა, მუხლი 15  
31 ჩარჩო დირექტივა, მუხლი 16.1

ამყამად, საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი არ ითვალისწინებს კომისიის ვალდებულებას გამოიყენოს კონკურენციის შესახებ კანონის პრინციპები ბაზრის განსაზღვრისას.<sup>32</sup>

მიუხედავად მისა, რომ ვერ მოხდება საქართველოს ცალსახად დავალდებულება, დაეყრდნოს ევროპის რომელიმე საკანონმდებლო აქტს (მაგ. ბერეკის სახელმძღვანელოებს), მაინც შესაძლებელია მოხდეს ექვივალენტი ნორმატიული აქტების მიღება. ასევე, საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო არ ითვალისწინებს ბაზრის კვლევის ჩატარების ერთობლივ წესს კონკურენციის სააგენტოსა და კომისიის მიერ.

დაკისრებული რეგულირებების გამოთხოვის/გაუქმების ვალდებულება<sup>33</sup>. როდესაც ეროვნული მარეგულირებელი შესაბამისი ანალიზის საფუძველზე დაადგენს, რომ ბაზარი არის კონკურენტული, მას უნდა შეეძლოს გააუქმოს ის რეგულაციები, რომლებიც შემოღებული იყო კონკურენციის უზრუნველსაყოფად. გაუქმებასთან დაკავშირებით უნდა გაიწეროს შეტყობინების ვადები იმ მხარეთათვის, ვისაც პირდაპირ ეხება ეს ცვლილება.

არ შესრულდა

საქართველოს კანონმდებლობა არ მოიცავს კომისიის მიერ დაკისრებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების გაუქმების/გამოთხოვის შესახებ ვალდებულებას. ამგვარი ვალდებულების არარსებობამ შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს კონკურენციაზე.

#### 5.1.4. ეროვნული მარეგულირებლის მიერ დავების გადანაცვების უფლებამოსილება<sup>34</sup>

**მარეგულირებელი ორგანოს გადანაცვებულუნარიანობა.** ეროვნული კანონმდებლობით, მარეგულირებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს ელექტრონული კომუნიკაციების ქსელებს ან მომსახურების მიმწოდებლებს შორის უფლება-მოვალეობებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული დავების მოგვარება. მარეგულირებლის გადანაცვებულება უნდა იყოს მიღებული უმოკლეს ვადაში, არაუგვიანეს ოთხი თვისა და იყოს შესასრულებლად სავალდებულო. კომუნიკაციების ქსელების ან მომსახურების მიმწოდებლებს უნდა შეეძლოთ, გაასაჩივრონ მარეგულირებელი ორგანოს გადანაცვებულება ისეთ ორგანოში, რომელიც დამოუკიდებელია დავაში მონაწილე მხარეთაგან. ასეთი ორგანო შესაძლოა იყოს სასამართლო. ეროვნული კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ეფექტური გასაჩივრების მექანიზმი.

გასაჩივრების შემთხვევაში, ეროვნული მარეგულირებლის გადანაცვებულებამ უნდა შეინარჩუნოს სამართლებრივი ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შუალედური ღონისძიებები არ არის გამოყენებული ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მარეგულირებელი ორგანოს გადანაცვებულება უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, მაგრამ, ბიზნესკონფიდენციალურობის დაცვით. ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების და მომსახურების შესაბამის მიმწოდებლებს ამომწურავად უნდა ეცნობოთ გადანაცვებულების მიღების საფუძვლები.

შესაბამისობაშია

32 ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა (ამ შემთხვევაში კონკურენციის კანონი და ელექტრონული კომუნიკაციების კანონი) კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური კანონი (lex specialis);

33 ჩარჩო დირექტივა, მუხლი 16.3;

34 ჩარჩო დირექტივა, მუხლი 4;



<p><b>ინფორმაციის შეგროვების ვალდებულება.</b> ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, უნდა მოხდეს გასაჩივრებულ საქმეებთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება, კერძოდ: პროცესის ხანგრძლივობა, საკითხის არსი, გადაწყვეტილებები, როცა სასამართლომ გამოიყენა შუალედური ღონისძიებები და ა.შ.</p>	<p><b>არ შესრულდა</b></p>
<p><i>მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არ არის ასახული კომისიის ვალდებულება – შეაგროვოს გასაჩივრებულ დავებთან დაკავშირებით ინფორმაცია, კომისია წლიური ანგარიშებში იძლევა დავების შესახებ საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას. შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ შეუსაბამობას.</i></p>	

## 5.2. ელექტრონული კომუნიკაციების მიმწოდებელი პირების ავტორიზაციის წესთან დაკავშირებული ვალდებულებები

<p><b>ელექტრონული კომუნიკაციის მომსახურების მინოდების თავისუფლება.</b><sup>35</sup> საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების თავისუფლება, ავტორიზაციის დირექტივით გათვალისწინებული პირობების თანახმად. ვალდებულება გულისხმობს, რომ სახელმწიფომ არ შეუშალოს ხელი ორგანიზაციას ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა თუ მომსახურების უზრუნველყოფაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული აუცილებელია საჯარო პოლიტიკის, საჯარო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნებისათვის. ამასთან, პირს უნდა გააჩნდეს მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.</p>	<p><b>არ შესრულდა</b></p>
<p><i>საქართველოს კანონმდებლობა ამჟამად ითვალისწინებს კომისიის უფლებამოსილებას შეაჩეროს ავტორიზაცია საკუთარი ინიციატივით, თუ ავტორიზებული პირი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აკმაყოფილებს ერთდროულად სამ პირობას: (i) არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას; (ii) არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებებს ან წარუდგენს ნულოვან გაანგარიშებას და (iii) არხის დისრეგულირების საფასურს.<sup>36</sup> ავტორიზაციის შეჩერება კი, გულისხმობს ავტორიზებული საქმიანობის აკრძალვას მის განახლებაამდე.<sup>37</sup> დირექტივის მიხედვით კი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურების თავისუფლება. ავტორიზების შეწყვეტის/ შეჩერების საფუძველი არ მოიცავს რეგულირების საფასურის გადახდის საკითხს. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება უზრუნველყოფილია კანონით.</i></p>	

35 ავტორიზაციის დირექტივა, მუხლი 3.1

36 ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის მუხლი 19’;

37 საფასურის გადახდა, რეგულირების საფასურის გაანგარიშების წარდგენა და ა.შ. არაა დირექტივის მიხედვით ავტორიზაციის შეჩერების საფუძველი. ზოგადი ავტორიზაციის შეჩერება, როგორც ასეთი, არ არის მიღებული პრაქტიკა, დირექტივაში მითითებაა ევროკავშირის სადამფუძნებლო შეთანხმების 46.1 მუხლზე, რომლითაც შესაძლოა შეჩერდეს ავტორიზაცია, ეს ის შემთხვევებია, როცა ავტორიზაციის არსებობით საფრთხე ექმნება საჯარო პოლიტიკის, საჯარო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნებს.

**ზოგადი ავტორიზაციის<sup>38</sup> განხორციელება მარტივი შეტყობინებით.** ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფის ან ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განევისათვის საკმარისი უნდა იყოს მხოლოდ ზოგადი ავტორიზაცია. განმცხადებელ ორგანიზაციას უნდა ევალებოდეს ეროვნული მარეგულირებლისათვის მხოლოდ შეტყობინების წარდგენა. ავტორიზაციით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისათვის არ უნდა იყოს საჭირო დამატებითი ადმინისტრაციული აქტი თუ სხვა რაიმე სახის გადაწყვეტილება. ორგანიზაციას, შეტყობინებისთანავე, უნდა შეეძლოს შეუდგეს საქმიანობას.<sup>39</sup>

**არ შესრულდა**

*მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კომისია ახორციელებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფის ავტორიზაციასა და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მინოდების ავტორიზაციას. დადგენილი წესის თანახმად, დეკლარაციის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში კომისია ახორციელებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფის ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მინოდების ავტორიზაციას ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში რეგისტრაციით.<sup>40</sup> ხოლო პირს უფლება აქვს დაიწყოს საქმიანობა ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში შეტანის დღიდან. აღნიშნული პროცედურა შეუსაბამობაშია დირექტივით განსაზღვრულ წესთან, რადგან მხოლოდ ორგანიზაციის მიერ გაკეთებული მარტივი შეტყობინება უნდა იყოს საკმარისი მის მიერ მომსახურების მინოდების დასაწყებად.*

ავტორიზებასთან დაკავშირებული შეტყობინება გულისხმობს არა უმეტეს იმ სავალდებულო ინფორმაციისა, რაც აუცილებელია პროვაიდერის იდენტიფიკაციისთვის, მაგალითად: კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი, პროვაიდერის საკონტაქტო პირები, მისამართი, ქსელის ან მომსახურების მოკლე აღწერილობა და საქმიანობის დაწყების სავარაუდო თარიღი.

**შესაბამისობაშია**

38 ზოგადი ავტორიზაცია გულისხმობს პირის უფლებას მარტივი შეტყობინებით მოახდინოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განევა. ასეთ შემთხვევაში პირი უბრალოდ აწვდის შეტყობინებას ეროვნულ მარეგულირებელს და საქმიანობის დასაწყებად არ საჭიროებს ეროვნული მარეგულირებლის დასტურს. ზოგადი ავტორიზაციის დანერგვის მიზანი, ევროკავშირში იყო მომსახურების განევის გაადვილება, რითიც მომსახურების მიწოდებლები თავს არიდებდნენ რთულ ბიუროკრატიულ პროცედურებს.

39 ავტორიზაციის დირექტივა, მუხლი 3.2;

40 ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის 18.1-18. 7მუხლები;

<p><b>ავტორიზებული სუბიექტის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებები.</b><sup>41</sup> საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება, ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოს ავტორიზებული ორგანიზაციების შემდეგი უფლებები:</p> <p>(ა) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელები და მომსახურება;</p> <p>(ბ) განაცხადის ნარდგენა აუცილებელ უფლებებთან დაკავშირებით (დაშვება/ურთიერთჩართვა, საჭირო დანადგარების ინსტალაცია საჯარო სივრცეში და ა.შ)</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებსა და მომსახურებას, ზოგადი ავტორიზაციის ფარგლებში მათ მიეცემათ უფლება, აწარმოონ მოლაპარაკება ურთიერთჩართვასთან დაკავშირებით სხვა პროვაიდერებთან. უზრუნველყონ უნივერსალური მომსახურების სხვადასხვა ელემენტები და მოიცვან ეროვნული ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილები.</p>	<p><b>არ შესრულდა</b></p>
<p><b>ნაკისრი ვალდებულება მოიაზრებს ავტორიზებული პირის უფლებას უზრუნველყოს უნივერსალური მომსახურება. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობით უნივერსალური მომსახურების ვალდებულება<sup>42</sup> არ არის განწესებული.</b></p>	
<p><b>რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა ზოგადი ავტორიზაციით.</b><sup>43</sup> საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება ხელი შეუწყოს რადიოსიხშირული რესურსის სარგებლობას ზოგადი ავტორიზაციით და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გასცეს ინდივიდუალური სარგებლობის უფლება, რათა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>– თავიდან აირიდოს საზიანო ჩარევა;</li> <li>– უზრუნველყოს მომსახურების სათანადო ტექნიკური ხარისხი;</li> <li>– უზრუნველყოს სპექტრის ეფექტური გამოყენება.</li> </ul> <p>სარგებლობის უფლების მინიჭებისას, უნდა განისაზღვროს შესაძლებელია თუ არა ან/და რა ვითარებაში იქნება შესაძლებელი აღნიშნული უფლებების გადაცემა უფლებების მფლობელის მიერ. რადიოსიხშირული სპექტრის ლიცენზიის ვადის დადგენისას უნდა გათვალისწინებულ იქნას განხორციელებული ინვესტიციის უკეგების დრო.<sup>44</sup></p>	<p><b>არ შესრულდა</b></p>

41 ავტორიზაციის დირექტივა, მუხლი 4

42 უნივერსალური მომსახურების ვალდებულება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში არის სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულება, რომ ყველა გეოგრაფიულ არეალში ხელმისაწვდომი გახადოს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული მომსახურებები. უნივერსალური მომსახურების ვალდებულება ტელეკომ პაკეტის მიხედვით მოიცავს ფიქსირებულ ტელეფონს, ემერჯენსის ნომერს-112, სააბონენტო წიგნებს, თუმცა ახალი ტელეკომუნიკაციების კოდექსის მიხედვით, ფართოზოლოვანი კავშირიც (ინტერნეტი) შევიდა უნივერსალურ მომსახურებათა ჩამონათვალში. უნივერსალური მომსახურების ვალდებულება ორიენტირებული უნდა იყოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე, განურჩევლად მდებარეობისა, უნარებისა და ფინანსური შესაძლებლობებისა. რიგ შემთხვევაში უნივერსალური მომსახურებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირებას მოითხოვს, რადგან მომსახურების მიმწოდებლებისათვის არ არის საინტერესო/ფინანსურად გამართლებული, მაგ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე მომსახურების მორგება, ან რთულ გეოგრაფიულ ზონაში ქსელების გაყვანა, ამიტომ ასეთ შემთხვევაში, უნივერსალური მომსახურების ვალდებულება ითვალისწინებს ან სახელმწიფოს მიერ რაიმე ფორმის მხარდაჭერას, ან ფინანსურ შეღავათებას და ნახალისების სხვადასხვა ფორმებს.

43 ავტორიზაციის დირექტივა, მუხლი 5;

44 ავტორიზაციის დირექტივა, მუხლი 5;

მოქმედი კანონმდებლობით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება მოიპოვება ლიცენზიის საფუძველზე, აუქციონის ან კონკურსის წესით, ან ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მინიჭებით.<sup>45</sup> აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, დირექტივა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების გადაცემას მოიაზრებს ზოგადი ავტორიზაციის წესით და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უშვებს სპექტრის ლიცენზიით გადაცემას. აგრეთვე, ახლანდელი რეგულაციით, ლიცენზიის გადაცემა ხდება, კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების გზით და გადაცემის უფლება არ განისაზღვრება ლიცენზიის გაცემისას. ამასთან, რადიოსიხშირული სპექტრის ლიცენზიის ვადის დადგენისას უნდა იქნას გათვალისწინებული განხორციელებული ინვესტიციის უკუგების დრო. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა საქართველოს კანონმდებლობით არის ფიქსირებული-10 წელი და ვადის განსაზღვრის დროს მხედველობაში არ მიიღება ლიცენზიის მფლობელის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციის უკუგების გონივრული დრო.

ვადები<sup>46</sup>. ეროვნული კანონმდებლობა უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ სარგებლობის უფლების გაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება, გაიცემა და გასაჯაროვდება შეძლებისდაგვარად სწრაფად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ შევსებული განაცხადის მიღებიდან სამი კვირის განმავლობაში – ნუმერაციის მინიჭების შემთხვევაში, ხოლო ექვსი კვირის განმავლობაში - რადიოსიხშირული რესურსის განსაზღვრის შემთხვევაში.

ვადა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ნებისმიერ მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებას რადიოსიხშირული რესურსის ან ორბიტალური პოზიციების გამოყენებასთან დაკავშირებით.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, განსაკუთრებული ეკონომიკური ღირებულების მქონე ნომრებით<sup>47</sup> სარგებლობის უფლება უნდა იყოს მინიჭებული კონკურენტული ან შედარებითი შერჩევის პროცედურების დაცვით. ამისთვის მაქსიმალური პერიოდი შესაძლოა იყოს სამი კვირა ან დამატებით კიდევ სამი კვირა.

**არ შესრულდა**

**მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული ვადები განსაზღვრული არ არის. ისევე, როგორც კანონით არ არის დარეგულირებული საჯარო კონსულტაციების პროცედურები.**

45 ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის მუხლი 47;

46 ავტორიზაციის დირექტივა, მუხლი 5.3;

47 ნუმერაციის რესურსი არის ამონურვადი. ის კანონმდებლობით იყოფა სახეებად: გეოგრაფიული ნომრები, არაგეოგრაფიული ნომრები, უსადენო შეღწევის, მობილური და ა.შ. მათი სარგებლობის ფასებიც განსხვავებულია და დგინდება კომისიის მიერ. განსაკუთრებული ეკონომიკური ღირებულების ნომრები მოიცავს ხუთციფრა მოკლე ნომრებს არასატელეკომუნიკაციო სერვისების მისაწოდებლად, რომლის ფასი შეადგენს 1500 ლარს ნუმერაციის ერთ რესურსზე, ოთხციფრა მოკლე ნომრებზე, რომელზეც სატელეკომუნიკაციო სერვისების მისაწოდებლად ფასი შეადგენს 1500 ლარს ნუმერაციის ერთ რესურსზე და ა.შ.

ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება. საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს ზოგად ავტორიზებასთან დაკავშირებული – პირობების, პროცედურების, საფასურის, მოსაკრებლის, სარგებლობის და მოწყობილობების დამონტაჟებისთან დაკავშირებული უფლებები, ასევე ინფორმაციის გამოქვეყნების, განახლების, საჯაროობის და დაინტერესებული მხარეების მხრიდან ადვილად წვდომის ვალდებულება.

შესაბამისობაშია

*მოქმედი კანონმდებლობით, კომისია ვალდებულია აწარმოოს ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრი, რომელშიც შეიტანება დეკლარაციის მონაცემები. ამასთან, კანონმდებლობით უზრუნველყოფილია ნებისმიერი პირის უფლება, გაეცნოს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში არსებულ მონაცემებს.<sup>48</sup>*

### 5.3. რესურსების მართვასთან დაკავშირებული ვალდებულებები

საქართველოს ასოცირების შეთანხმებით აღებული აქვს ვალდებულება, ბაზრის ანალიზის საფუძველზე, უზრუნველყოს ეროვნული მარეგულირებლის პასუხისმგებლობა, კერძოდ, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს იმ ოპერატორებს, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება შესაბამის ბაზრებზე, დაუწესოს შემდეგი სახის პირობები:

- ქსელის სპეციფიკურ ელემენტებთან დაშვება და მათი გამოყენება;
- დაშვებასა და ურთიერთჩართვაზე სატარიფო კონტროლი, ხარჯებზე ორიენტაციის ვალდებულებების ჩათვლით;
- გამჭვირვალობა, დისკრიმინაციის აკრძალვა და განცალკევებული აღრიცხვა.

**დისკრიმინაციის აკრძალვა დაშვებასა და ურთიერთჩართვაზე.**<sup>49</sup> საქართველომ უნდა უზრუნველყოს იმ შეზღუდვათა მოხსნა, რომელიც ხელს შეუშლის ორგანიზაციებს დაშვებასა და ურთიერთჩართვასთან, ტექნიკურ თუ კომერციულ ღონისძიებებთან დაკავშირებული მოლაპარაკებების წარმოებაში. საქართველოს ევალება სისრულეში მოიყვანოს სამართლებრივი ან ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომლებიც ავალდებულებს ოპერატორებს დაშვების ან ურთიერთჩართვის უფლების გაცემისას, არ დაუშვან განსხვავებული პირობების შეთავაზება სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის, რომელთაც ეკვივალენტურ მომსახურებებს სთავაზობს. ასევე არ უნდა დააკისროს ისეთი ვალდებულებები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ფაქტიურ დაშვებასა და ურთიერთჩართვის მომსახურებასთან.

შესაბამისობაშია

*საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით უკვე გათვალისწინებულია ჰარმონიზების ეს ვალდებულება. კერძოდ, ავტორიზებული პირი, მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამის თავისუფალ ელემენტებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან მსურველი ავტორიზებული პირის შეუზღუდავი დაშვება.<sup>50</sup> ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით, იკრძალება განსხვავებული პირობების შეთავაზება. კომისიის ამოცანაა, უზრუნველყოს ავტორიზებული პირების დისკრიმინაციის დაუშვებლობა და მათი თანასწორუფლებიანობა; მსურველი ავტორიზებული პირების მოთხოვნით, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან, მათ თავისუფალ ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან არადისკრიმინაციული დაშვება ან/და ურთიერთჩართვა.<sup>51</sup>*

48 ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის მუხლი 17;

49 დაშვების დირექტივა, მუხლი 3;

50 ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის 19.2.დ მუხლი.

51 ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის 20.2.ბ მუხლი.

<p><b>ინფორმაციის კონფიდენციალობა.</b><sup>52</sup> საჯარო საკომუნიკაციო ქსელების ოპერატორებს უნდა ჰქონდეთ უფლება, კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შემთხვევაში კი – ვალდებულება, აწარმოონ მოლაპარაკებები ურთიერთჩართვასთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მინოდებაზე. რათა უზრუნველყოფილ იქნას ურთიერთთავსებადობა და მომსახურების მინოდება. ციფრული სატელევიზიო მომსახურების გამანაწილებლებს – საჯარო ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებს – ჰქონდეთ ფართოეკრანიანი სატელევიზიო მომსახურებებისა და პროგრამების გავრცელების შესაძლებლობა. ფართოეკრანიანი სატელევიზიო მომსახურებებისა და პროგრამების გამავრცელებელმა ქსელის ოპერატორებმა შეინარჩუნონ ფართოეკრანიანი ფორმატი.</p> <p>ამასთან, კანონით უნდა დარეგულირდეს ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა. კერძოდ, ორგანიზაციებმა, რომლებიც მოიპოვებენ ინფორმაციას დაშვებისა და ურთიერთჩართვის შესახებ მოლაპარაკების პროცესამდე, პროცესის განმავლობაში ან მას შემდეგ, გამოიყენონ ინფორმაცია მხოლოდ მიზნობრივად და დაიცვან მისი კონფიდენციალობა. დაუშვებელია მიღებული ინფორმაციის გადაცემა სხვა რომელიმე მხარისათვის, კერძოდ კი, სხვა დეპარტამენტისათვის, შვილობილი კომპანიებისა თუ პარტნიორებისათვის, ვისთვისაც ამგვარი ინფორმაცია შეიძლება გახდეს კონკურენტუნარიანი უპირატესობა.</p>	<p><b>არ შესრულდა</b></p>
<p><b>შეუსაბამობა მდგომარეობს ზემოაღნიშნული ვალდებულების – კონფიდენციალურობის ნაწილში (მესამე პარაგრაფი). კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ოპერატორების ვალდებულება, დაიცვან კონფიდენციალობა იმ ინფორმაციაზე, რომელიც მათთვის მოლაპარაკებისას გახდა ცნობილი.</b></p>	
<p><b>დაშვების ვალდებულება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტებზე.</b><sup>53</sup> ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ დაშვება, ურთიერთჩართვა და მომსახურების ურთიერთთავსებადობა, რაც ხელს შეუწყობს მდგრად კონკურენციას, ეფექტურ ინვესტიციას, ინოვაციას და საბოლოო მომხმარებელს მაქსიმალურ სარგებელს მოუტანს. მნიშვნელოვანია, რომ საბაზრო ძალაუფლების მქონე ორგანიზაციებთან დაკავშირებულ ეროვნულ მარეგულირებელს ჰქონდეს უფლებამოსილება დააკისროს:</p> <p>ა) (იმ მოცულობით, რაც აუცილებელი იქნება უწყვეტი კავშირის დასამყარებლად) შეუსაბამისი ვალდებულებები იმ ორგანიზაციებს, რომლებიც აკონტროლებენ დაშვებას საბოლოო მომხმარებელზე და ქსელთან ურთიერთჩართვის პასუხისმგებლობა, თუ აღნიშნული უკვე აღარ ხორციელდება;</p> <p>ბ) (დადასტურებულ შემთხვევებში და იმ მოცულობით, რაც აუცილებელი იქნება) ვალდებულებები იმ ორგანიზაციებს, რომლებიც აკონტროლებენ დაშვებას მომხმარებელზე, რათა მათი მომსახურებები გახდეს ურთიერთთავსებადი.</p>	<p><b>არ შესრულდა</b></p>

52 დაშვების დირექტივა, მუხლი 4;  
53 დაშვების დირექტივა, მუხლი 5;

<p>გ) (იმ მოცულობით, რაც აუცილებელი იქნება) საბოლოო მომხმარებლისათვის ციფრულრადიო და სატელევიზიო მაუნყებლობის მომსახურებებზე დაშვების ვალდებულება (როგორც ეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ არის განსაზღვრული), ასევე, უნდა დაეკისროს ოპერატორებს, უზრუნველყონ სამართლიანი, არადისკრიმინაციული და გონივრული ფორმით დაშვება.</p> <p>მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტზე დაკისრებული ვალდებულებები და პირობები უნდა იყოს ობიექტური, გამჭვირვალე, პროპორციული და არადისკრიმინაციული. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, ეროვნული მარეგულირებელი ორგანო უნდა გამოდიოდეს საკუთარი ინიციატივით და ჩარევის უფლებამოსილებით.</p>	<p><b>არ შესრულდა</b></p>
-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------

**დირექტივასთან შედარებით აღნიშნული საკითხი უფრო მკაცრად არის დარეგულირებული მოქმედი კანონმდებლობით და დაშვება და ჩართვა განსაზღვრულია, როგორც მომსახურების მიმწოდებელთა კანონისმიერი ვალდებულებები, როგორც ერთ-ერთი ზოგადი ვალდებულება, რაც შესაბამისობაშია დირექტივასთან.<sup>54</sup> თუმცა, საქართველოს კანონმდებლობით ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის მხოლოდ ის ოპერატორები, რომლებიც ადგილობრივი მომსახურების ზონაში სააბონენტო ნუმერაციის რესურსის გამოყენებით<sup>55</sup> ახორციელებენ ბოლო მომხმარებლების მომსახურებას, არიან ვალდებული, უზრუნველყონ საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დანახარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული დაშვებით სხვა მსურველი ოპერატორებისათვის ან ელექტრონული საკომუნიკაციო უწყებრივი ქსელის მფლობელი პირებისათვის ურთიერთჩართვის პირდაპირი ან არაპირდაპირი მიწოდება.<sup>56</sup> აღნიშნულიც წარმოადგენს მცირე, მაგრამ ფორმალურ შეუსაბამობას. სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით, არა მხოლოდ ნუმერაციის რესურსით მოსარგებლე, არამედ ყველა ოპერატორი უნდა იყოს ვალდებული განახორციელოს ჩართვა და დაშვება.**

<p>სპეციფიკური ვალდებულების დაკისრების უფლება, დაშვება და ურთიერთ-ჩართვა, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტებისთვის. ეროვნული კანონმდებლობით ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს უნდა მიენიჭოს უფლება, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებს, გონივრული მოთხოვნების ფარგლებში, დააკისროს ვალდებულებები იქსელის ელემენტებთან და შესაბამის საშუალებებთან წვდომისა და გამოყენებისათვის. იმ სიტუაციებში, სადაც ეროვნული მარეგულირებელი ორგანო მიიჩნევს, რომ დაშვებაზე უარის თქმა ან არაგონივრული პირობები ხელს შეუშლის მდგრადი, კონკურენტული ბაზრის დანერგვას საცალო დონეზე ან ვერ უზრუნველყოფს საბოლოო მომხმარებლის ინტერესებს, მარეგულირებელმა ოპერატორს შეიძლება დააკისროს სპეციფიკური ვალდებულებები:</p> <p>(ა) მესამე მხარეს მისცეს დაშვება ქსელის კონკრეტულ ელემენტებზე და/ან საშუალებებზე, მათ შორის, ქსელის ელემენტებზე, რომლებიც არ იქნება აქტიური და/ან ღია დაშვების ადგილობრივ კვანძზე;</p> <p>(ბ) კეთილსინდისიერად აწარმოოს მოლაპარაკებები ორგანიზაციებთან, რომლებიც ითხოვენ დაშვებას;</p>	<p><b>არ შესრულდა</b></p>
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------

54 ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფას (ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი) ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას (ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი). განმარტებისათვის, აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების შესახებ კანონით ჩამონათვალს გარეთ რჩებიან ის ავტორიზებული პირები, რომლებიც არ იყენებენ ნუმერაციის რესურსს.

55 ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფას (ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი) ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას (ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი) ნუმერაციის რესურსის გამოყენებით ხვდებიან აღნიშნული შეზღუდვის ქვეშ, რაც შესაბამისობაშია დირექტივასთან, ხოლო კანონის ჩამონათვალს გარეთ რჩებიან პირები, რომლებიც არ სარგებლობენ ნუმერაციის რესურსით (მაგ. ფართოზოლოვანი კავშირის მიმწოდებლები და სხვა)

56 ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის 19.3 მუხლი;

- (გ) არ გამოითხოვოს უკან უკვე გაცემული დაშვება;
- (დ) უზრუნველყოს კონკრეტული საბითუმო მომსახურებები მესამე მხარისათვის მისაყიდად;
- (ე) გასცეს ღია დაშვების უფლება ტექნიკურ ინტერფეისებზე, პროტოკოლებსა და სხვა ძირითად ტექნოლოგიებზე, რომლებიც აუცილებელია მომსახურებებისა თუ ვირტუალური ქსელური სერვისების ურთიერთ-თავსებადობისათვის;
- (ვ) უზრუნველყოს თანალოკაცია ან საერთო დაკავშირებული საშუალებების სხვა ფორმები;
- (ზ) უზრუნველყოს კონკრეტული მომსახურებები, რაც აუცილებელია უწყვეტი მომსახურების ურთიერთთავსებადობისთვის, მათ შორის, შესაბამისი საშუალებები ინტელექტუალური ქსელური სერვისებისა თუ მობილურ ქსელებში როუმინგისათვის;
- (თ) უზრუნველყოს დაშვება საოპერაციო და ხმარების სისტემებთან ან მსგავს პროგრამულ სისტემებთან, რაც აუცილებელია სამართლიანი კონკურენციის უზრუნველსაყოფად მომსახურების სფეროში;
- (ი) უზრუნველყოს ქსელებისა და ქსელური საშუალებების ურთიერთ-ჩართვა;
- (კ) უზრუნველყოს დაშვება ასოცირებულ სერვისებზე, როგორცაა იდენტიფიკაცია, ლოკაცია და დასწრების მომსახურება. ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს შეუძლიათ აღნიშნულ ვალდებულებებს თან დაურთონ ისეთი პირობები, რომლებიც დაიცავს სამართლიანობას, გონივრულობას და დროულობას.<sup>57</sup>

არ შესრულდა

*საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ არის სრულ შესაბამისობაში დირექტივით განვრილ დაშვების მოთხოვნებთან. საქართველოს კანონმდებლობით დაშვება განმარტებულია როგორც ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ განსაზღვრული პირობებით (მათ შორის, ტარიფებით) საკუთარი ქსელის შესაბამისი ელემენტებით, ტექნიკური საშუალებებით, მათი თავისუფალი ფუნქციონალური რესურსებითა და სიმძლავრეებით, ან მათი გამოყენებით განხორციელებული (ან განხორციელებადი) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებით სარგებლობის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს რიგ ჩამონათვალს. სრული შესაბამისობის მისაღწევად დირექტივისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონისმიერი ჩამონათვალის დაახლოებაა საჭირო. ამასთან, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი, რომელიც ფლობს ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელს, საქართველოს კანონმდებლობითაც ვეალება უზრუნველყოს მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან, ტექნიკურ საშუალებებთან, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებთან სხვა ავტორიზებული პირის შეუზღუდავი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული დაშვება,<sup>58</sup> რაც შესაბამისობაშია დირექტივასთან.*

57 დაშვების დირექტივა, მუხლი 12;  
 58 ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის 34.1 მუხლი;



**ფასის კონტროლის ვალდებულება.**<sup>59</sup> ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს ეროვნული კანონმდებლობით უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირს დააკისროს ხარჯის ანაზღაურებისა (ამოღების) და ფასის კონტროლის ვალდებულებები, მათ შორის ხარჯის საორიენტაციო ღირებულებისა და ხარჯების ანგარიშგების სისტემებთან დაკავშირებული ვალდებულებები, კონკრეტული ურთიერთჩართვისა და დაშვების მომსახურებების უზრუნველყოფის მიზნით, იმ სიტუაციებში, სადაც ბაზრის ანალიზი მიუთითებს ეფექტური კონკურენციის ნაკლებობაზე და იმ შემთხვევაში, თუ ოპერატორს გააჩნია ზედმეტად მაღალი ფასები ან ამცირებს ფასებს საბოლოო მოხმარების საზიანოდ. ოპერატორის მიერ ინვესტირების წასახალისებლად, მათ შორის შემდეგი თაობის ქსელებში ინვესტირებისათვის, ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს ოპერატორის მიერ გაკეთებული ინვესტიცია და მოახდინოს გონივრული ამონაგების მიღება ადეკვატურ ინვესტირებულ კაპიტალზე იმ რისკების გათვალისწინებით, რაც კონკრეტულად დამახასიათებელი იქნება ახალი საინვესტიციო პროექტისთვის. ხარჯის ანაზღაურების მეთოდი ან ფასწარმოქმნის მეთოდოლოგია უნდა ემსახუროდეს ეფექტური და მდგრადი კონკურენციის ხელშეწყობას და მაქსიმალურად ზრდიდეს მომხმარებლის სარგებელს. ამ კუთხით, ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ შეიძლება ასევე გაითვალისწინოს კონკურენტულ ბაზრებზე არსებული ფასები. იმ შემთხვევაში, თუ ოპერატორს გააჩნია საკუთარი ფასების ორიენტაციის ვალდებულება, იმ ფაქტის მტკიცებულების ტვირთი, რომ დაკისრებული თანხა წარმოშობილია ხარჯიდან, მათ შორის, ინვესტიციის ამონაგებიდან, ეკისრება ოპერატორს. ეფექტური მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯის გამოთვლის მიზნით, ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ შეიძლება გამოიყენოს ხარჯის ანგარიშსწორების მეთოდები ორგანიზაციის მეთოდებიდან დამოუკიდებლად.

*შესაბამისობაშია*

ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს შემდეგი: იმ შემთხვევაში, თუ გაიცემა ხარჯის ანგარიშსწორების სისტემის დანერგვის ნებართვა ფასის კონტროლისათვის, ხარჯის აღრიცხვის სისტემის აღწერა გახდეს საჯარო. აღწერაში ნაჩვენებია უნდა იყოს სულ მცირე ძირითადი კატეგორიები, რომლებშიც დაჯგუფდება ხარჯი და წესები, რომლებიც გამოიყენება ხარჯის გამოყოფისათვის. ხარჯის აღრიცხვის სისტემის შესაბამისობა უნდა გადამოწმდეს კვალიფიციური დამოუკიდებელი ორგანოს მიერ. ოპერატორების მიერ ყოველწლიურად უნდა გამოქვეყნდეს შემოწმების ანგარიში.

*არ შესრულდა*

**ზემოაღნიშნული ვალდებულება შესრულებულია ერთი გამონაკლისით.** კერძოდ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში, ავტორიზებული პირი კომისიის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად ქმნის დანახარჯების აღრიცხვის სისტემას, აქვეყნებს მის აღწერას, წარუდგენს კომისიას და ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს ამ სისტემის შესაბამისად. ასევე, კანონის თანახმად, კომისია უფლებამოსილია დააკისროს ავტორიზებულ პირს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული მონაცემების კომისიისთვის წარდგენა, თუმცა, კანონი არ ადგენს გამოქვეყნების პირობასა და მის სიხშირეს, რაც წარმოადგენს შეუსაბამობას დირექტივასთან.

59 დაშვების დირექტივა, მუხლი 13;

**განცალკევებული აღრიცხვა/ფუნქციური განცალკევება.**<sup>60</sup> იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული მარეგულირებელი ორგანო დაასკვნის, რომ შეუძლებელია ეფექტური კონკურენციის მიღწევა და ასევე, განსაზღვრავს, რომ ზოგიერთი პროდუქტის საბითუმო ბაზარზე არსებობს ხარვეზი, მარეგულირებელი უფლებამოსილია, ვალდებულება დააკისროს ვერტიკალურად ინტეგრირებულ<sup>61</sup> დაკავშირებულ ორგანიზაციას, რათა მან საბითუმო მიწოდებასთან დაკავშირებული აქტივობები განაცალკეოს და მოახდინოს განცალკევებული აღრიცხვიანობა ბიზნესის ფუნქციურად განცალკევების გზით.<sup>62</sup> ბიზნესერთეული ვალდებულება უზრუნველყოს დაშვების პროდუქტებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა ყველა ორგანიზაციისთვის, მათ შორის, სხვა ბიზნესერთეულებისათვის მშობელ კომპანიაში, იგივე ვადებში და პირობებში, იმავე ფასითა და მომსახურების დონით და იგივე სისტემებისა თუ პროცესების გამოყენებით. ეროვნული მარეგულირებლის დაგეგმილ ღონისძიებებში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი:

- (ა) დაყოფის ზუსტი ხასიათი და დონე, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულად ცალკე ბიზნესერთეულის იურიდიულ სტატუსს.
- (ბ) გამოყოფილი ბიზნესერთეულის აქტივების იდენტიფიკაცია და პროდუქტები/მომსახურებები, რაც აღნიშნულმა ერთეულმა უნდა უზრუნველყოს.
- (გ) მმართველობასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს თანამშრომლების დამოუკიდებლობასა და ნახალისების სისტემას.
- (დ) ვალდებულებების შესაბამისობათან მოსაყვანი წესები.
- (ე) საოპერაციო პროცედურების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის წესები, კერძოდ, სხვა მონაწილე მხარეების წინაშე;
- (ვ) მონიტორინგის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისობას, მათ შორის, წლიური ანგარიშების გამოქვეყნება.

მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება აღნიშნული ღონისძიებების გატარების შესახებ, ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ უნდა ჩაატაროს სხვადასხვა ბაზრის კოორდინირებული ანალიზი დაშვების ქსელთან დაკავშირებით.

*შესაბამისობაშია*

**გამჭვირვალობის ვალდებულება.**<sup>63</sup> ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება, მოითხოვოს ურთიერთჩართვისა და დაშვების გამჭვირვალობა, მოსთხოვოს ოპერატორებს კონკრეტული ინფორმაციის გასაჯაროება, ისეთის, როგორიცაა: ფინანსური ინფორმაცია, ტექნიკური სპეციფიკაცია, ქსელის მახასიათებლები, მომარაგებისა და მოხმარების პირობები, მათ შორის ისეთის, რომელიც ზღუდავს დაშვებას მომსახურებებზე – იმ შემთხვევაში, თუ ოპერატორს ნაკისრი აქვს არადისკრიმინაციული მიდგომის ვალდებულება, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება, ოპერატორს მოსთხოვოს სტანდარტული შეთავაზების გამოქვეყნება, რათა ორგანიზაციებს არ მოუწიოთ ისეთ საშუალებებთან დაკავშირებით ანგარიშსწორების განხორციელება, რაც მოთხოვნილი მომსახურებებისთვის არ არის საჭირო;

*შესაბამისობაშია*

60 დაშვების დირექტივა, მუხლი 11.1  
 61 ვერტიკალურ ინტეგრაციაშია მოიაზრება მდგომარეობა, როდესაც კომპანია აკონტროლებს მიწოდების ერთ რგოლზე მეტს. იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც საბითუმო მიწოდებელი ასევე მოქმედებს საცალო ბაზარზე ან/და მომსახურებას აწვდის საბოლოო მომხმარებლებს.  
 62 რაც ამარტივებს მის შემონახვას და განცალკევებული ანგარიშგების ფონზე, ძალიან ძნელია დაიმალოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება.  
 63 დაშვების დირექტივა, მუხლი 9;

<p>შეთავაზება უნდა იყოს კომპონენტებად დაყოფილი და აღწერილი საბაზრო საჭიროებების შესაბამისად და წარმოდგენილი შესაბამისი პირობებით, ფასების ჩათვლით. ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს უნდა შეეძლოს სტანდარტულ შეთავაზებაში ცვლილებების შეტანა, რათა სისრულეში მოიყვანოს წინამდებარე დირექტივით დაკისრებული ვალდებულებები. ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ შეიძლება განსაზღვროს კონკრეტული, ზუსტი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, დეტალურობის დონე და გამოქვეყნების ფორმა.</p> <p>ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს სტანდარტული შეთავაზების გამოქვეყნება და აღნიშნული შეთავაზება უნდა შეიცავდეს მარეგულირებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ დეტალებს.</p>	<p><b>შესაბამისობაშია</b></p>
<p><b>არადისკრიმინაციული მოპყრობის ვალდებულება.</b><sup>64</sup> ეროვნული მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობით უფლებამოსილი უნდა იყოს ოპერატორს/მომსახურების მიმწოდებელს დააკისროს დისკრიმინაციის დაუშვებლობის ვალდებულებები ურთიერთჩართვასა და/ან დაშვებასთან დაკავშირებით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება, რომ ოპერატორი იყენებდეს ეკვივალენტურ პირობებს ეკვივალენტურ ვითარებებში იმ კომპანიებთან მიმართებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკვივალენტურ მომსახურებებს. ოპერატორმა მომსახურებები და ინფორმაცია უნდა მიანოდოს სხვა პირებს იმავე პირობებით და იგივე ხარისხით, როგორსაც აწვდის საკუთარ სამსახურებს, საკუთარ შვილობილ კომპანიებსა თუ პარტნიორებს.</p>	<p><b>შესაბამისობაშია</b></p>
<p><b>ანგარიშების დაყოფის ვალდებულება.</b> ეროვნული მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილი უნდა იყოს, მომსახურების მიმწოდებელს/ოპერატორს დააკისროს ურთიერთჩართვასა და დაშვების კონკრეტულ აქტივობასთან დაკავშირებული ბუღალტრული ანგარიშგების დაყოფის ვალდებულება. კერძოდ, ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ შესაძლებელია მოსთხოვოს ვერტიკალურად ინტეგრირებულ ორგანიზაციას, გაასაჯაროოს საკუთარი საბითუმო ფასები და შიდა გადარიცხვის ფასები, რათა არ დაუშვას დისკრიმინაცია ან თავიდან იქნას არიდებული უსამართლო ჯვარედინი სუბსიდირება. ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ შესაძლებელია განსაზღვროს, თუ რომელი ფორმატი და ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგია უნდა იქნას გამოყენებული.</p> <p>მან აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში შესაძლებელია მოითხოვოს საბუღალტრო აღრიცხვები, მათ შორის, მესამე მხარისაგან მიღებული შემოსავლების შესახებ მონაცემები. მარეგულირებელ ორგანოს შეუძლია გამოაქვეყნოს ამგვარი ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს ღია და გამჭვირვალე ბაზრის განვითარებას, თუმცა დაცული იქნება ეროვნული კანონმდებლობა კომერციული კონფიდენციალობის შესახებ.</p>	<p><b>შესაბამისობაშია</b></p>

**საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ უზრუნველყოფს ზემოჩამოთვლილ გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციული მოპყრობისა და ანგარიშთა განცალკევების ვალდებულების დაკისრების უფლებას კომისიის მიერ.**

64 დაშვების დირექტივა, მუხლი 10

უნივერსალური მომსახურების განწესვა (ანუ მომსახურების განსაზღვრული მინიმალური კრებულის უზრუნველყოფა საბოლოო მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომ ფასად ქვეყნის მთელ გეოგრაფიულ არეალში) ითვალისწინებს გარკვეული მომსახურებების განწესას, განსაზღვრულს საბოლოო მომხმარებლებისათვის<sup>66</sup> იმ ფასად, რომელიც განსხვავდება ჩვეულებრივ საბაზრო პირობებში დადგენილი ფასისაგან.<sup>67</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, იმ ორგანიზაციების ანაზღაურება, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნულ მომსახურებას მოცემულ პირობებში, არ უნდა არღვევდეს კონკურენციას და უნდა ასრულებდეს იმ პირობებს, რომელთა თანახმადაც, ორგანიზაციების ანაზღაურება ხორციელდება ქსელთან დაკავშირებით განწესებული განსაზღვრული ხარჯის მიხედვით და იმ პირობით, რომ აღნიშნული ხარჯი ანაზღაურდება არაკონკურენციული გზით.<sup>68</sup>

სახელმწიფოს უფლება აქვს განსაზღვროს უნივერსალურ მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულების კატეგორია, რომლის გამოყენებაც მას სურს. აღნიშნული ვალდებულებები არ ჩაითვლება ანტიკონკურენტულად თუ მათი გამოყენება იქნება გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და კონკურენციული თვალსაზრისით ნეიტრალური.

**არ შესრულებულა**

65 უნივერსალური მომსახურების დირექტივა;

66 ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყონ ხელმისაწვდომი ფასები ფიქსირებულ სატელეფონო კავშირებზე შეზღუდული შესაძლებლობებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისათვის ფიქსირებულ ადგილებზე. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის გათვალისწინებული სპეციალური ღონისძიებები აგრეთვე ითვალისწინებს, აუცილებლობის შემთხვევაში, საზოგადოებრივი ტელეფონ-ავტომატების, ტექსტის გაგზავნის ფუნქციის მქონე ტელეფონ-ავტომატების (ტექსტური ტელეფონების) ან შესაბამისი ზომების უზრუნველყოფას სმენადარტების მქონე პირებისთვის ან დარღვეული მეტყველების მქონე მომხმარებლებისათვის, რაც გულისხმობს ისეთი მომსახურების განწესას, როგორცაა სატელეფონო საცნობარო ან მისი მსგავსი მომსახურება უსასყიდლოდ გადაცემული უსინათლოებისა თუ მხედველობადაქვეითებული ადამიანებისათვის და აღნიშნულ მომხმარებლებს მიაწვდის დეტალურ ან გარეშე ალტერნატიულ ფორმატში მომსახურების ღირებულების გადახდასთან დაკავშირებით ინფორმაციას მათი მოთხოვნისთანავე. შესაძლებელია ასევე აუცილებელი გახდეს სპეციალური ზომების მიღება შეზღუდული შესაძლებლობებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მომხმარებლებისთვის საგანგებო სიტუაციების ნომრით – „112“ სარგებლობის შესაძლებლობის უზრუნველყოფისა და ასევე მათთვის, როგორც სხვა აბონენტებისთვის, ოპერატორების ან მომსახურების პროვაიდერების შერჩევის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. მომსახურებების სტანდარტების ხარისხთან დაკავშირებული მოთხოვნები შემუშავებული იქნა აბონენტების მიერ მიღებული მომსახურების ხარისხისა და იმ ფაქტის შეფასების მიზნით, თუ რამდენად კარგად ასრულებს შერჩეული ორგანიზაცია უნივერსალური მომსახურების განწესვის ვალდებულებებს აღნიშნული სტანდარტების მიღწევისას.

67 უნივერსალური მომსახურების მიზანია მთელ ტერიტორიაზე იქნას უზრუნველყოფილი მომსახურების მინიმუმი და ისეთ რთულ გეოგრაფიულ არეალში, სადაც მომსახურების მიწოდებლებს კომერციულად არ უღირთ შესვლა, სახელმწიფო მხარდაჭერით მოხერხდეს მომსახურებათა მინიმუმის უზრუნველყოფა.

68 სუბსიდიურობის პრინციპის შესაბამისად, კონკრეტულად ევროკავშირის წევრმა სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, თუ რომელ ორგანიზაციებს ეკისრება უნივერსალური მომსახურების განწესვის ვალდებულება წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მიზნებთან დაკავშირებით, აუცილებლობის შემთხვევაში, აღნიშნული ორგანიზაციის მიერ უნივერსალური მომსახურების განწესვის სრული ან ნაწილობრივი ვალდებულების აღების შესაძლებლობისა და სურვილის გათვალისწინებით. მეტად მნიშვნელოვანია, რომ უნივერსალური მომსახურების განწესვის ვალდებულება სისრულეში იქნას მოყვანილი ყველა ზეფექტური გზით, რათა მომხმარებლებმა ზოგადად გადაიხადონ მომსახურების ღირებულება იმ ოდენობით, რაც შეესაბამება მათი განწესვის ეფექტურ ღირებულებას. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსალური მომსახურების ოპერატორებმა უზრუნველყონ ქსელის მთლიანობა, მომსახურების უწყვეტობა და განწესვის ხარისხი. კონკურენციის დონის ზრდა და არჩევანი უზრუნველყოფს მომსახურების განწესვის ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულების შესაძლებლობის გაზრდას იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც არ ფლობენ მნიშვნელოვან ძალაუფლებას ბაზარზე. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ უნივერსალური მომსახურების თვითღირებულების გაანგარიშების საფუძველზე ეროვნული მარეგულირებელი ორგანო დაადგენს, რომ მომსახურების განწესვა ორგანიზაციის მიერ დაკავშირებულია ძალიან დიდ ხარჯთან, სახელმწიფომ, ორგანიზაციის განცხადებით, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგი საკითხების თაობაზე:

- (ა) კომპენსაციის მექანიზმის გამოყენება გარკვეული თვითღირებულების ორგანიზებისთვის გამჭვირვალე პირობებზე სახელმწიფო ფონდებთან (სახელმწიფოს მიერ უნივერსალური მომსახურების დაფინანსება) და/ან
  - (ბ) უნივერსალური მომსახურების განწესვის ვალდებულებათა თვითღირებულების გადანაწილება კომუნიკაციებისა და მომსახურების ელექტრონული ქსელების პროვაიდერებს შორის.
- ორივე შემთხვევაში პროცესი უნდა იყოს კონკურენტული და გამჭვირვალე.

<p>ეროვნული კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს, თუ რა მომსახურებები ითვლება უნივერსალურ მომსახურებად. ამასთან, ყველა მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს უნივერსალური მომსახურების უზრუნველყოფის უფლება და არც ერთი მიმწოდებელი არ უნდა იყოს წინასწარ გამორიცხული. შერჩევა უნდა მოხდეს ეფექტიანი, გამჭვირვალე, ობიექტური და არადისკრიმინაციული მექანიზმით. საჭიროების შემთხვევაში, თითოეულ მხარეს შეუძლია შეაფასოს, წარმოადგენს თუ არა უნივერსალური მომსახურება ამ მომსახურების განვეისთვის შერჩეული კომპანიისათვის (კომპანიებისთვის) დამატებით ტვირთს. დასაბუთებულ გათვლებზე დაყრდნობით და იმ მარკეტინგული უპირატესობის გათვალისწინებით, რაც, შესაძლოა, დროთა განმავლობაში მოიპოვოს უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელმა კომპანიამ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მარეგულირებელმა ორგანომ, შესაძლოა, განსაზღვროს, არის თუ არა საჭირო მომსახურების მიმწოდებლის (მიმწოდებლების) კომპენსირების ან უნივერსალური მომსახურების ვალდებულების შესრულების წმინდა ხარჯის გაყოფის მექანიზმების ამოქმედება.</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი სააბონენტო ცნობარი, დაბეჭდილი ან ელექტრონული ფორმით, თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ორგანიზაციებმა, რომლებიც აქვეყნებენ სხვა ორგანიზაციების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ცნობარში დაიცვან არადისკრიმინაციულობის პრინციპი.</p>	<p><b>არ შესრულებულა</b></p>
<p>უნივერსალური მომსახურების ერთ-ერთი შემადგენელი ვალდებულება უნდა იყოს სასწრაფო ზარების განხორციელების შესაძლებლობა ტელეფონ-ავტომატებით გადაუდებელი დახმარების ერთიან ევროპულ ნომერზე („112“) და გადაუდებელი კავშირის ნებისმიერ სხვა ეროვნულ სატელეფონო ნომერებზე, ყოველგვარი გადასახადის გარეშე.</p>	<p><b>არ შესრულებულა</b></p>
<p>ნომრის პორტირება წარმოადგენს უნივერსალური მომსახურების ნაწილს და მნიშვნელოვან ფაქტორს ეფექტური კონკურენციისთვის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე. მომხმარებლებს შეუძლიათ შეინარჩუნონ თავიანთი ნომერი (ნომრები) საზოგადოებრივი სარგებლობის სატელეფონო ქსელში, იმის მიუხედავად, თუ რომელი ორგანიზაცია უწევს მათ მომსახურებას. ნომრის პორტირების მნიშვნელობა იზრდება ტარიფებზე გამჭვირვალე ინფორმაციის არსებობისას. ამას აქვს მნიშვნელობა, როგორც საბოლოო მომხმარებლისათვის, ვინც ახდენს ნომრის პორტირებას, ასევე მათთვის, ვინც რეკავს ამ ნომერზე. ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს ნომრის პორტირების ტარიფის გამჭვირვალობა, ნომრის პორტირებასთან დაკავშირებული ურთიერთჩართვის სათანადო განფასების უზრუნველყოფა. მას შეუძლია მხედველობაში მიიღოს ანალოგიურ ბაზრებზე არსებული ფასები.</p>	<p><b>შესაბამისობაშია</b></p>

საქართველოს კანონმდებლობით უნივერსალური მომსახურების ცნება განმარტებული არ არის. თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცნება და შესაბამისი ვალდებულება არსებობდა საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში და ასევე არსებობდა უნივერსალური მომსახურების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის №10 დადგენილება, რომელიც არ შესრულებულა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 თებერვლის დადგენილება №2-ით ძალადაკარგულად გამოცხადდა. თუმცა, აღნიშნულის მიზეზები უცნობია. შესაბამისი ცვლილებები შევიდა კანონში და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე 2005 წლის 28 დეკემბრის კანონით გაუქმდა ყველა ჩანაწერი, რაც უკავშირდებოდა უნივერსალურ მომსახურებას.

საქართველოში ნომრის პორტირება მობილურ ქსელებზე დასაშვები გახდა 2011 წლიდან, ასევე დაინერგა „ემერჯენსი ნომერი 112“, თუმცა, არა როგორც უნივერსალური მომსახურების ნაწილი. 112-ზე ზარის განხორციელება უფასოა და დარეკვა შესაძლებელია საქართველოში მოქმედი ყველა ფიქსირებული თუ მობილური სატელეფონო ქსელიდან.

### 5.5. რადიოსიხშირის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

პოლიტიკისა და რეგულაციის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს რადიოსიხშირული სპექტრის ჰარმონიზებულ ხელმისაწვდომობასა და ეფექტიან გამოყენებას.<sup>69</sup> საქართველოს აღებული ვალდებულება გულისხმობს ისეთი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებას და პოლიტიკის გატარებას, რომელიც უზრუნველყოფს ჰარმონიზებული პირობების შექმნას, რადიოსიხშირული სპექტრის ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის.

სახელმწიფოს ვალდებულებაა ხელი შეუწყოს შესაბამისი პოლიტიკის გატარებას, სტრატეგიული დაგეგმვისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ჰარმონიზაციას, ურთიერთთანამშრომლობას – ეკონომიკური, უსაფრთხოების, ჯანდაცვის, საზოგადოებრივი ინტერესის, გამოხატვის თავისუფლების, კულტურის, სამეცნიერო, სოციალური და ტექნიკური და ასპექტების გათვალისწინებით. მან უნდა გაატარიოს ღონისძიებები რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ოპტიმიზაციისათვის და ასევე, მან ჩარევის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს რადიოსიხშირული სპექტრის პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება, შეიმუშაოს ზოგადი მეთოდოლოგია, შექმნას ჰარმონიზებული პირობები რადიოსადგურის ეფექტური გამოყენებისათვის. ამასთან, უზრუნველყოს მომხმარებელი რადიოსპექტრის განაწილების ხელმისაწვდომობით. მაქსიმალურად გაატაროს საზოგადოებრივი ინტერესი საერთაშორისო მოლაპარაკებებში, რადგან რადიოსიხშირესთან დაკავშირებული საკითხები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების საჯარო პოლიტიკაზე.

შესაბამისობაშია

69 გადანყვებილება 674 რადიოსიხშირული სპექტრის ჩარჩოს შესახებ;

საქართველოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს რადიოსიხშირული განაწილების ცხრილის შედგენა და ინფორმაციის გავრცელება რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობასთან დაკავშირებული უფლებების, პირობების, პროცედურების და საფასურის შესახებ.

საქართველომ უნდა შეძლოს რადიოსიხშირული და უკაბელო კავშირგაბმულობის სიხშირეების, მათ შორის GSM, მესამე და მეოთხე თაობის მობილური კავშირგაბმულობის (3G, 4G), 9 კჰც-ს და 3000 გჰც-ს შორის სიხშირეების ხელმისაწვდომობა. პოლიტიკის დანერგვისას მხედველობაში მიიღოს საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორცაა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU), რადიოკავშირის მართვისა და საფოსტო და სატელეკომუნიკაციო ადმინისტრაციების (CEPT) ევროპული კონფერენციის, 48 ნევრი ქვეყნის მთავრობათაშორის ორგანიზაციის მიერ გატარებული ღონისძიებები.

## შესაბამისობაშია

*მოქმედი კანონმდებლობით კომისიის ვალდებულება ამონურვადი რესურსების მართვა და მათი ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, ინოვაციური ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის უზრუნველსაყოფად და კონკურენტუნარიანი გარემოს განსავითარებლად რადიოსიხშირული სპექტრის ოპტიმალური განაწილება და ეფექტიანი გადაწილება, რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოპოვების გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული პირობებისა და წესების დადგენა, ამონურვადი რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა/სარგებლობის უფლების მინიჭება და ლიცენზიის/რესურსით სარგებლობის უფლების გაუქმება. კომისიამ შეიმუშავა „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის ახალი ფორმა“, რომლის პროექტიც კომისიის ვებგვერდზე 2016 წლის სექტემბერში განთავსდა. „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა პირველად 2006 წელს გამოქვეყნდა. დროთა განმავლობაში ახალი რადიო სისტემების, რადიოსიხშირეთა სპექტრის გამოყენებასთან დაკავშირებული საერთაშორისო დონეზე მიღწეული შეთანხმებების, ან ეროვნულ დონეზე ქვეყნის სპეციფიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, გეგმა მოდიფიცირდა და მასში ცვლილებები და დამატებები შევიდა. გეგმის ახალ ვარიანტში გათვალისწინებულია ITU-ს მიერ ორგანიზებული მსოფლიო რადიოსაკომუნიკაციო კონფერენციის WRC-15 შედეგები. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ 2017 წლის 9 თებერვალს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა.*

## 5.6. მონაცემთა დასვასთან დაკავშირებული ვალდებულებები

<p>საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს ელექტრონული კომუნიკაციებისა და მასთან დაკავშირებული საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის და საჯაროდ ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო მომსახურების პერსონალური ტრაფიკის მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვა მომსახურებით ვაჭრობის შეზღუდვის გარეშე. საქართველოს ევალება მომხმარებელი ფიზიკური და იურიდიულ პირების მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა თანაბარი ხარისხით<sup>70</sup>.</p>	<p><b>არ შესრულებულა</b></p>
<p><b>საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონითა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით, დაცვის ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ ფიზიკურ პირთა პერსონალური მონაცემები. ამასთან, არც სხვა ნორმატიული აქტით ხდება იურიდიულ პირთა მონაცემთა კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა.</b></p>	
<p>ელექტრონულ მონაცემთა დაცვის ვალდებულება. პირადი მონაცემების დამუშავების დირექტივა უკავშირდება ელექტრონული კომუნიკაციის მომსახურებების განვითარებას, საჯაროდ ხელმისაწვდომი საჯარო საკომუნიკაციო ქსელებით მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებას<sup>71</sup> და მონაცემების იდენტიფიცირებას.</p>	<p><b>არ შესრულებულა</b></p>
<p><b>საქართველოს კანონმდებლობით ეს ვალდებულება განერილი არ არის.</b></p>	
<p>საჭიროების შემთხვევაში, ელექტრონული კომინაკციის მომსახურების მიმწოდებელმა საჯარო კომუნიკაციის ქსელის<sup>72</sup> მიმწოდებელთან ერთად, უნდა მიიღოს შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რათა უზრუნველყოს მისი მომსახურების უსაფრთხოება.<sup>73</sup></p>	<p><b>არ შესრულებულა</b></p>
<p><b>მოყვანილ შემთხვევაში არსებობს ნაწილობრივი შეუსაბამობა. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობით ავტორიზებულ პირს გააჩნია ვალდებულება უზრუნველყოს ქსელის უსაფრთხოება, თუმცა არც პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონი და არც კომუნიკაციების შესახებ კანონი არ ავალდებულებს ავტორიზებულ პირს ითანამშრომლოს საჯარო ქსელის მიმწოდებელთან ტექნიკური ზომების მიღების თვალსაზრისით.</b></p>	
<p><b>უსაფრთხოების ზომები.</b><sup>74</sup> კანონმდებლობით განერილი უსაფრთხოების ზომების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ რისკებს. ამ მიზნით, გარანტირებული უნდა იყოს შემდეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>– პირადი მონაცემების ხელმისაწვდომობა მხოლოდ სამართლებრივად უფლებამოსილი პირებისათვის;</li> <li>– შენახული პირადი მონაცემების დაცულობა შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, დაკარგვისგან ან ცვლილებისგან, არავტორიზებული ან უკანონო შენახვისგან, დამუშავებისგან, წვდომის და გამჟღავნებისგან.</li> <li>– შესაბამისი კანონმდებლობით უზრუნველყოფა, უსაფრთხოების პოლიტიკის იმპლემენტაცია პირადი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.</li> </ul>	<p><b>არ შესრულებულა</b></p>

70 პერსონალურ მონაცემთა დაცვის დირექტივა, 1.2;

71 მონაცემთა დამუშავება როგორც დირექტივით, ისე ჩვენი კანონმდებლობით მოითხოვს დამუშავების კანონიერ საფუძველს;

72 ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ერთიანი სისტემა, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლებისთვის საზოგადოებისათვის შეუზღუდავად ხელმისაწვდომი, საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მისაწოდებლად.

73 პერსონალური მონაცემების დირექტივა, მუხლი 4;

74 პერსონალური მონაცემების დირექტივა, მუხლი 4.1;



საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან განზრახ განადგურებისაგან, შეცვლის, გამჟღავნების, მოპოვების და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისაგან. ასევე, არსებობს ვალდებულება იმისა, რომ მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები მონაცემთა დამმუშავებელსთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური იყოს. მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამმუშავებაში, ვალდებულია, არ გასცდეს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.<sup>75</sup> მცირედი შეუსაბამობა მდგომარეობს იმაში, რომ არც პერსონალურ მონაცემთა და არც ელექტრონული კომუნიკაციის კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების ვალდებულება, ხოლო ის, რაც განსაზღვრულია კანონმდებლობით, მხოლოდ პერსონალურ (ფიზიკური პირის) მონაცემთა დაცვაზე ვრცელდება.

შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ განსაზღვრული აუდიტის უფლება. ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლება, ჩაატარონ პერსონალურ მონაცემთა დამმუშავებელსთან დაკავშირებული აუდიტი.

შესაბამისობაშია

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს კომისია, რომელთანაც მოქმედებს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური.

რისკის არსებობის შესახებ მომხმარებელთა გაფრთხილების ვალდებულება.<sup>76</sup> ქსელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სპეციფიკური რისკის არსებობის შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებული უნდა იყოს, ამის თაობაზე გააფრთხილოს თავისი მომხმარებლები.

შესაბამისობაშია

საქართველოს კანონმდებლობით თუ ტექნიკური მიზეზებით მომსახურების მიმწოდებელი ვერ ახერხებს თავის საკუთრებაში არსებული ქსელის დაცვას, ის ვალდებულია წინასწარ მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია შესაძლებელია პირთა მიერ უნებართვო ჩართვის რისკის არსებობის თაობაზე და ტექნიკური შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში შესთავაზოს მას მომსახურება უნებართვო ჩართვისაგან თავის დასაცავად,<sup>77</sup> აღნიშნული შესაბამისობაშია დირექტივის მოთხოვნებთან.

პერსონალურ მონაცემთა დარღვევის შესახებ შეტყობინების ვალდებულება. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს შეატყობინოს პერსონალური მონაცემების დარღვევის შესახებ. თუ შესაძლებელია, რომ ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნებამ უარყოფით ზეგავლენა მოახდენოს მომხმარებელზე, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, მომხმარებელს გაუმჟღავნოს ეს ინფორმაცია. შეტყობინება არ არის საჭირო, თუ კომპეტენტურ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს დამაკმაყოფილებლად მიაჩნია მომსახურების მიმწოდებლის მიერ გატარებული ტექნიკური დაცვის ზომები. აღნიშნულ პროცედურასთან და დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებით კომპეტენტურმა ეროვნულმა ორგანოებმა შესაძლებელია შეიმუშაონ სახელმძღვანელო წესები.

არ შესრულებულია

საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებას, შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შესახებ.

75 პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონი, მუხლი 17;

76 მონაცემთა დაცვის დირექტივა, მუხლი 4;

77 ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 25.4 "კ";

<p><b>კომუნიკაციების კონფიდენციალურობა.</b> საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს კომუნიკაციების კონფიდენციალურობა, რაც იმას გულისხმობს, რომ გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, მას ეკრძალება მოსმენა, შენახვა და სხვა სახის ტიპის მეთვალყურეობა. ინფორმაციის შენახვა ან შენახულ ინფორმაციაზე წვდომა მომხმარებლის ტერმინალურ მონაცემებში დასაშვებია მხოლოდ მომხმარებლის თანხმობით. აღნიშნული არ ეხება ტექნიკურ შენახვას ან წვდომას ელექტრონული კომუნიკაციის ქსელით ტრანსმისიის ან კომუნიკაციის განხორციელებას.</p>	<p><b>არ შესრულებულა</b></p>
<p><b>როგორც უკვე ითქვა, პერსონალური მონაცემების დაცვის კანონით გათვალისწინებული დაცვის ზომები ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე. დირექტივებთან შესაბამისობაში მოსაყვანად საჭიროა იურიდიულ პირთათვის ანალოგიური დაცვის მექანიზმების დანერგვა.</b></p>	
<p><b>ტრაფიკის მონაცემების დაცვა.</b> მომსახურების მიმწოდებლის მიერ შენახული ტრაფიკის მონაცემები უნდა განადგურდეს ან გახდეს ანონიმური მას შემდეგ, რაც იგი აღარაა საჭირო კომუნიკაციის ტრანსმისიის განსახორციელებლად.</p>	<p><b>არ შესრულებულა</b></p>
<p>ტრაფიკის ის მონაცემები, რომლებიც საჭიროა აბონენტისათვის გადასახადის დასარიცხად, შესაძლოა დამუშავდეს, თუმცა მხოლოდ კანონით დადგენილი იმ ვადის ფარგლებში, როცა გადასახადის გასაჩივრება შესაძლებელია.</p>	
<p><b>კონკრეტულად ტრაფიკის მონაცემების დაცვის ცნებას არ იცნობს ჩვენი კანონმდებლობა, თუმცა, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში არის ჩანაწერი, რომლითაც შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ ანალოგიის პრინციპით. კერძოდ, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით მომხმარებლის მიერ განხორციელებული კომუნიკაციის შინაარსის შესახებ ინფორმაცია მისი გადაცემისთანავე, დაუყოვნებლივ, ავტომატურად უნდა განადგურდეს. აღნიშნული ინფორმაცია კანონით დადგენილი წესით ხელმისაწვდომი შეიძლება გახდეს მხოლოდ ამ კანონის საფუძველზე, შეზღუდული სუბიექტისათვის.<sup>78</sup> რაც შეეხება მეორე პარაგრაფს, ტრაფიკის მონაცემების შენახვის ვადის თაობაზე – ჩვენს კანონმდებლობაში მსგავსი ჩანაწერი არ მოიპოვება.</b></p>	
<p><b>ზარის ამოცნობასთან დაკავშირებული შეზღუდვები.</b> ზარის ამოცნობის მომსახურების შეთავაზებისას, აბონენტებს უნდა მიეცეთ საშუალება, გამოიყენონ უფასო და ადვილად ხელმისაწვდომი მომსახურება, მათი ნომრის გაუმჟღავნებლად. ამასთან, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს აბონენტის უფლება, აიცილოს არასასურველი შემომავალი ზარი.</p>	<p><b>არ შესრულებულა</b></p>
<p><b>საქართველოს კანონმდებლობა არ მოიცავს მსგავს შეზღუდვებს ზარის ამოცნობის მომსახურებებისთან დაკავშირებით.</b></p>	

78 ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის 8.5 და 8<sup>1</sup> მუხლები;

**მდებარეობის მონაცემები.** ტრაფიკის მონაცემების გარდა, საკომუნიკაციო ქსელებისა და საჯარო საკომუნიკაციო ქსელების მომხმარებელთა ან აბონენტებთან დაკავშირებული ადგილმდებარეობის მონაცემების დამუშავება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ხდება მათი დამუშავება ანონიმურად ან მომხმარებელთა წინასწარ გაცხადებული თანხმობით. თანხმობის მიღებამდე, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, შეატყობინოს მომხმარებლებს ან აბონენტებს, ადგილმდებარეობის განსაზღვრის მონაცემების სახეობების შესახებ. ასევე, მონაცემების დამუშავების, დამუშავების მიზნებისა და ხანგრძლივობის თაობაზე, და იქნება თუ არა მონაცემები მესამე მხარის დამატებითი მომსახურების განევის მიზნით გამოყენებული. მომხმარებლებს უნდა გააჩნდეთ გაცემული თანხმობის გამოთხოვნის უფლება.

**არ შესრულებულა**

**საქართველოს კანონმდებლობა არ მოიცავს მდებარეობის მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რეგულაციებს.**

## 5.7. ტერმინოლოგიის უნიფიცირება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში

ასოცირების შეთანხმებით, საქართველოს ალბერტი აქტს ვალდებულება შესაბამისობაში მოიყვანოს რიგი ტერმინებისა, რომელიც განსხვავებული ან არაზუსტი სახით არის წარმოდგენილი ეროვნულ კანონმდებლობაში. მსგავსი ტერმინოლოგიური შეუსაბამოები ხშირ შემთხვევაში არის დირექტივებსა და ეროვნულ კანონმდებლობას შორის დადგენილი შეუსაბამობის მიზეზი და მათი აღმოფხვრის შემთხვევაში, შეუსაბამობაც აღმოიფხვრება.

„ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი“ ნიშნავს გადაცემის სისტემებს, ზოგ შემთხვევაში, დამისამართებისა და მარშრუტიზაციის მონოპოლიზაციას და სხვა რესურსებს, ქსელური ელემენტების ჩათვლით, რომლებიც არ არიან აქტიურნი და იძლევიან სიგნალების გადაცემის საშუალებას ტელეგრაფის, რადიოს, ოპტიკური ან სხვა ელექტრომაგნიტური საშუალებებით, მათ შორის თანამგზავრული ქსელებით, ფიქსირებული (არხული და პაკეტური ინტერნეტის ჩათვლით) და მინისზედა მობილური ქსელებით, ელექტრო საკაბელო სისტემებით, იმის გათვალისწინებით, რომ მათი გამოყენება მოხდება გადამცემ სიგნალებით, რადიო და სატელევიზიო მაუნყებლობისთვის განკუთვნილ ქსელებით, საკაბელო სატელევიზიო ქსელებთან დაკავშირებით, გადმოცემული ინფორმაციის ტიპის მიუხედავად;

**შესაბამისობაშია**

<p><b>„ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება“</b> ნიშნავს მომსახურებას, რომლის განევაც ჩვეულებრივ ხდება ანაზღაურების სანაცვლოდ და შედგება სრულად ან ძირითადად ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან დაკავშირებული სიგნალების გადაცემისგან, სატელეკომუნიკაციო და გადაცემის მომსახურების ჩათვლით – მაუნყებლობისთვის გამოყენებულ ქსელებში. აღნიშნული არ ითვალისწინებს იმ მომსახურებებს, რომელიც უზრუნველყოფს ან ახორციელებს სარედაქციო კონტროლს გადაცემულ შინაარსზე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურების გამოყენებით; იგი არ გულისხმობს საინფორმაციო საზოგადოებრივ მომსახურებას, როგორც ეს განსაზღვრულია №98/34/EC დირექტივის პირველ მუხლში, რომელიც არ ითვალისწინებს სრულად ან ძირითადად სიგნალების გადაცემას ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებზე;</p>	<p><b>არ შესრულებულა</b></p>
<p><b>„საჯარო საკომუნიკაციო ქსელი“</b> გულისხმობს ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელს, რომელიც გამოიყენება სრულად ან ძირითადად საჯაროდ ხელმისაწვდომი ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის გადაცემას ქსელის საბოლოო პუნქტებს შორის;</p>	<p><b>შესაბამისობაშია</b></p>
<p><b>„დაკავშირებული საშუალებები“</b> ნიშნავს დაკავშირებულ მომსახურებებს, ფიზიკურ ინფრასტრუქტურასა და ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელთან ან/და ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა საშუალებებსა და ელემენტებს, რომელიც უზრუნველყოფს ან/და ხელს უწყობს მომსახურებების განევას ქსელის ან/და მომსახურების მეშვეობით და ითვალისწინებს, სხვა პირობებთან ერთად, შენობებს ან შენობებში დაშვებას, შენობების სადენებს, ანტენებს, ანძებს და სხვა საყრდენ კონსტრუქციებს, გაყვანილობას, კაბელებს, ანძებს, ჭებსა და კარადებს;</p>	<p><b>შესაბამისობაშია</b></p>
<p><b>„დაკავშირებული მომსახურებები“</b> ნიშნავს ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელთან ან/და ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებასთან დაკავშირებულ მომსახურებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ან/და ხელს უწყობენ მომსახურების განევას ქსელის ან/და მომსახურების საშუალებით, ან გააჩნია აღნიშნულის სისრულეში მოყვანის პოტენციური და მოიცავს, სხვა პირობებთან ერთად, რიგ გადაცემას ან ეკვივალენტური ფუნქციების შემთავაზებელ სისტემებსა და ელექტრონული პროგრამების სახელმძღვანელოებს, ასევე სხვა მომსახურებებს, როგორცაა: იდენტიფიკაციის, ადგილმდებარეობისა და დასწრების მომსახურება;</p>	<p><b>არ შესრულებულა</b></p>
<p><b>„უნივერსალური მომსახურება“</b> ნიშნავს №2002/22/EC დირექტივით (უნივერსალური მომსახურების განევის შესახებ დირექტივით) გათვალისწინებულ განსაზღვრული ხარისხის მომსახურებების მინიმალურ კრებულს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყოველი მომხმარებლისათვის, მიუხედავად მათი გეოგრაფიული მდებარეობისა და, კონკრეტული ეროვნული პირობების ფონზე, ხელმისაწვდომ ფასად;</p>	<p><b>არ შესრულებულა</b></p>
<p><b>„პირობითი დაშვების სისტემა“</b> ნიშნავს ნებისმიერ ტექნიკურ ღონისძიებას ან/და უზრუნველყოფას, რომლის საშუალებითაც დაშვება, დაცული რადიო და სატელევიზიო მაუნყებლობის სამსახურზე გარკვეული ფორმით, სრულდება წინასწარი ინდივიდუალური ავტორიზაციის პირობითი სააბონენტო ან სხვა ფორმით;</p>	<p><b>არ შესრულებულა</b></p>

<p><b>„მომხმარებელი“</b> ნიშნავს ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელიც იყენებს ან მოითხოვს საჯაროდ ხელმისაწვდომ ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას;</p>	<p><b>არ შესრულებულა</b></p>
<p><b>„კლიენტი“</b> ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც იყენებს ან მოითხოვს საჯაროდ ხელმისაწვდომ ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას იმ მიზნებისთვის, რაც სცდება მისი ვაჭრობის, ბიზნესისა თუ პროფესიის ფარგლებს;</p>	
<p><b>„აბონენტი“</b> ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც წარმოადგენს საჯაროდ ხელმისაწვდომი ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების პროვაიდერთან ასეთი მომსახურების მიწოდების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების მხარეს;</p>	
<p><b>„საბოლოო მომხმარებელი“</b> ნიშნავს მომხმარებელს, რომელიც არ უზრუნველყოფს საკომუნიკაციო ქსელებს ან საჯაროდ ხელმისაწვდომ ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას;</p>	<p><b>არ შესრულებულა</b></p>
<p><b>„სპექტრის გამოყოფა“</b> ნიშნავს წარმოდგენილი სიხშირული სპექტრის განსაზღვრას ერთი ან რამდენიმე ტიპის სატელეკომუნიკაციო სამსახურის მიერ გამოყენების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტულ პირობებში.</p>	<p><b>არ შესრულებულა</b></p>

## 6. ვალდებულებების შესრულების ვადები

ასოციირების შეთანხმებით განისაზღვრა სპეციფიკური ვალდებულებები, რომელთა შესასრულებლადაც დადგინდა სამწლიანი და ხუთწლიანი ვადები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ასოციირების შეთანხმებით განსაზღვრული და სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ასოციირების დღისწესრიგით განსაზღვრული ვადები არ ემთხვევა ერთმანეთს.

კერძოდ, ასოციირების შეთანხმების განახლებული დღისწესრიგი 2018-2020-ის თანახმად, ყველა ზემოჩამოთვლილი ვალდებულება უნდა შესრულდეს ამავე პერიოდში, ანუ 2018-2020 წლებში, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს ჯერ კიდევ აქვს დრო, განახორციელოს დაგეგმილი სკანონმდებლო ცვლილებები.

თუმცა, თავად ასოციირების შეთანხმების მიხედვით, ვალდებულებათა უმეტესობა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში შესასრულებელი იყო შეთანხმების ძალაში შესვლიდან 3 წლის ვადაში, ანუ 2017 წლის ბოლომდე. ხოლო უნივერსალურ მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები – 5 წლის ვადაში, ე.ი. 2019 წლის ბოლოსთვის.

უცნობია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული შეუსაბამობის მიზეზები.

რადგან ფორმალურად ვალდებულებები შესრულებელი არ არის და მხოლოდ წინასწარი ღონისძიებებია გატარებული, საქართველო პასუხისმგებელია აღნიშნული ვალდებულებები განახორციელოს 2019-2020 წლებში.

## 7. საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეფასება

საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონმდებლობა მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. შესაბამისად, ანგარიშის მეხუთე თავში განსაზღვრული ველები „შესაბამისობაშია“ მიუთითებს სწორედ აღნიშნულ შესაბამისობას და არა ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ეს მითითებულია.

ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ელექტრონული კომუნიკაციის საკითხების დაახლოება ეროვნული გეგმით დაევალა კომუნიკაციების ეროვნულ მარეგულირებელ კომისიას (როგორც ეროვნულ მარეგულირებელს) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, როგორც ელექტრონული კომუნიკაციების შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკის განმსაზღვრელს.

კომისიამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გაატარა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებისა, რაზეც საუბარია ჩვენს ნაშრომში, თუმცა ფაქტიური ცვლილებები, კერძოდ, საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების ინიცირება და შეტანა, რაზეც პასუხისმგებელია სამინისტრო, ჯერჯერობით არ განხორციელებულა.

### 7.1. „ელექტრონული კომუნიკაციების“ შესახებ საქართველოს კანონის სვლილებების პაკეტის შეფასება

კომისიის მიერ 2018 წელს დასრულდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტი – „საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის განვითარება“.<sup>79</sup> ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, კომისიამ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ექსპერტების რეკომენდაციებით, მოამზადა და პარლამენტში საკანონმდებლო ინიცირებისთვის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარუდგინა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ – საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს. კანონპროექტი მიზნად ისახავს ელექტრონული საკომუნიკაციო ბაზრის განვითარების ხელშეწყობას, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი გარანტიების შექმნას და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის ეფექტური მექანიზმების შემუშავებას.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებებით დგინდება შესაბამისობა შემდეგ დირექტივებთან:

- ევროპარლამენტისა და კავშირის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურების ზოგადი მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ **(ჩარჩოდირექტივა) 2002/21/EC** დირექტივა, რომელშიც შევიდა ცვლილება 2009/140/EC დირექტივით;
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურების ავტორიზაციის შესახებ **(ავტორიზაციის შესახებ დირექტივა) 2002/20/EC** დირექტივა, რომელშიც შევიდა ცვლილება 2009/140/EC დირექტივით;
- ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის შესახებ **(დაშვების მინიჭების შესახებ დირექტივა) 2002/19/EC** დირექტივა, რომელშიც შევიდა ცვლილება 2009/140/EC დირექტივით;
- ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ **(პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ დირექტივა) 2002/58/EC** დირექტივა, რომელშიც შევიდა ცვლილება 2009/136/EC დირექტივით და სანარმოთაშორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ ევროკავშირის საბჭოს რეგულაცია, რომელიც **(შერწყმის კონტროლის რეგულაცია) N139/2004** – შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს ითვალისწინებს.

79 კომისიის 2018 წლის წლიური ანგარიში.

შესაბამისად, კომისიის მიერ შეთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს წინამდებარე ანგარიშის მე-5 თავს მთლიანად, გარდა 5.4. (უნივერსალური მომსახურების ვალდებულება) და 5.7 ქვეთავისა (ტერმინოლოგიის დაახლოება). აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები არ მოიცავდა აღნიშნული ტერმინების უნიფიცირებას ტერმინოლოგიის მცირე შეუსაბამობების გამო.

### კომისიის მომზადებული კანონპროექტი ადგენს ცვლილებებს<sup>80</sup> შემდეგ საკითხებზე:

შეთავაზებული პროექტით ხდება რიგი ცნებების დახვეწა (მაგ. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება), რაც რიგ შემთხვევებში განაპირობებდა ნორმატიული აქტის შეუსაბამობას დირექტივებთან.

ავტორიზაციის შესახებ დირექტივის მოთხოვნის საფუძველზე, განხორციელებული ცვლილების მიხედვით, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა შესაძლებელი იქნება კომისიის მიერ გაცემული ზოგადი ავტორიზაციის საფუძველზე. ზოგადი ავტორიზაციით განსაზღვრული პირობები გავრცელდება როგორც ავტორიზებულ პირებზე, ისე პირებზე, რომლებიც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ავტორიზაციის გარეშე განახორციელებენ საქმიანობას ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა ან/და საშუალებების გამოყენებით.

კომისიამ ზოგადი ავტორიზაცია შესაძლებელია გამოსცეს არაჰარმონიზებულ/ჰარმონიზებულ რადიოსიხშირულ დიაპაზონებში<sup>81</sup>, როგორც ავტორიზებული, ისე არაავტორიზებული საქმიანობის განსახორციელებლად. კანონპროექტის მიხედვით, კომისია უფლებამოსილი იქნება ასეთი რადიოსიხშირული ზოლების გამოყენების პირობები განსაზღვროს ზოგადი ავტორიზაციით. ასევე ზოგადი ნებართვით, ავტორიზაციით იქნება შესაძლებელი ე.წ. WI-FI ოპერატორებისთვის რადიოსიხშირების გამოყენების პირობების განსაზღვრა. ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება კომისიაში ავტორიზაციის გავლის შემდგომ, WIFI ოპერატორებისთვის გამოყოფილი რადიოსიხშირული ზოლისთვის, ზოგადი ნებართვით განსაზღვრული პირობების დაცვით, მიაწოდოს ინტერნეტმომსახურება აბონენტს.

რადიოსიხშირებით სარგებლობა შესაძლებელი იქნება ლიცენზიის მოპოვების, ან კომისიის გადაწყვეტილებით მინიჭების გარეშე, ზოგადი ნებართვით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. რადიოსიხშირით სარგებლობის უფლება გაიცემა ლიცენზიის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობა არ იქნება მიზანშეწონილი და ლიცენზიის გაცემა აუცილებელი იქნება საზიანო ხელისშემშლელი ფაქტორების თავიდან აცილების, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ტექნიკური ხარისხის უზრუნველყოფის, რადიოსიხშირული სპექტრის ეფექტიანი გამოყენების ან სხვა საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად.

შეთავაზებული პროექტით რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადას, განსაზღვრავს კომისია (10 წლის ნაცვლად), ხოლო ვადის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება ლიცენზიის მფლობელის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციის უკუგების გონივრული დრო.

პროექტით იცვლება ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრის, ბაზრის ანალიზის, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების გამოვლენისა და მათთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების თაობაზე კანონით დადგენილი წესები. მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებად მიიჩნევა ისეთი დომინირებული მდგომარეობა, რომელიც ავტორიზებულ პირს საშუალებას აძლევს არსებითად იმოქმედოს კონკურენტებისგან, ზოგადად მომხმარებლებისგან და ბოლო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად. კომისიას ენიჭება უფლებამოსილება, თავად განსაზღვროს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების დადგენის კრიტერიუმები. განისაზღვროს ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველსაყოფად წინასწარი რეგულირების ეტაპები. დისკრიმინაციის დაუშვებლობის გამო მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფ-

80 დაკსენები გაცემულია კომისიის 2018 წლის ანგარიშისა და შემუშავებული კანონპროექტის საფუძველზე.

81 რადიოსიხშირული სპექტრის ეფექტიანად მართვისა და გამოყენების მიზნით, კომისია უზრუნველყოფს ევროკომისიის გადანყვეტილებით გათვალისწინებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისა და მინისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებული რადიოსიხშირული დიაპაზონების ამავე გადანყვეტილებით, განსაზღვრული ტექნიკური ნორმებისა და პირობების შესაბამისად, ეროვნულ დონეზე ჰარმონიზაციას „რადიოსიხშირული სპექტრისგან განაწილების ეროვნულ გეგმაში“ სათანადო ცვლილებების შეტანისა და ამავე რადიოსიხშირულ დიაპაზონებში გაცემული ამონურავდი რესურსით სარგებლობის ლიცენზიების მოდიფიცირების გზით.

ლების მქონე ავტორიზებული პირები ვალდებული იქნებიან დაშვებისა და ურთიერთჩართვის უკეთესი პირობების შეთავაზებისას, მონვევის ოფერტის პირობებში ცვლილების შეტანასთან ერთად, უკეთესი პირობების დადგენამდე დადებულ ხელშეკრულებებში შეიტანონ შესაბამისი ცვლილება. დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულებით, საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირები ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების სახეების მიხედვით, შემოსავლებსა და დანახარჯებთან ერთად, აწარმოებენ აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვას.

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულებით, ქსელის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, კომისია უფლებამოსილი იქნება, განსაზღვროს ის ტექნიკური ან საოპერაციო პირობები, რომელიც უნდა შეასრულონ მომსახურების მიმწოდებლებმა და/ან ქსელთან დაშვებით მოსარგებლე პირებმა. სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულების დასაკისრებლად, კომისია უფლებამოსილი იქნება დაადგინოს არა მხოლოდ ქსელის შესაბამის ელემენტებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და თავისუფალ სიმძლავრეებთან დაშვებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ზღვრული ტარიფი, არამედ ამ მომსახურებების ტარიფიც, ასევე, შეარჩიოს მისი გაანგარიშების მეთოდი. ფუნქციონალური განცალკევების ვალდებულების გამო, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირები ვალდებული იქნებიან განახორციელონ ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების მიწოდება დამოუკიდებლად მოქმედ ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების მიმწოდებელი ბიზნესერთეულის (მათ შორის, სტრუქტურული ერთეული) საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების არადისკრიმინაციულ მიწოდებას, როგორც კონკურენტი ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებისთვის, ასევე თავისი საცალო მომსახურებების მიმწოდებელი ბიზნესერთეულებისათვის. ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, კომისია უფლებამოსილი იქნება საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს დამატებით დააკისროს სხვა სპეციფიკური ვალდებულებები, კერძოდ, არ შეზღუდონ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე სხვა ავტორიზებული პირის შესვლა ან კონკურენცია არაკონკურენტული ფასების დანესებით, ბოლო მომხმარებელს არ დაუნესონ არასამართლიანი ფასები, არ ჩააყენონ ბოლო მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფი უპირატეს მდგომარეობაში; არ შეზღუდონ მომხმარებელი კონკრეტული მომსახურების სხვა მომსახურებასთან ერთად შეძენის აუცილებლობით.

კანონპროექტი ადგენს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესებს და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში არეგულირებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის საკითხებს. განსაზღვრულია საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების უსაფრთხოების, პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევის, ტერმინალურ მოწყობილობებში კომუნიკაციის კონფიდენციალურობის, ტრაფიკის მონაცემების დამუშავების შეზღუდვის, მდებარეობის მონაცემების დამუშავების შეზღუდვის, საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების ზარებისა და სააბონენტო ცნობარის თაობაზე არსებული საკითხების მარეგულირებელი წესები.

ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებაა ახალი მარეგულირებელი ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით საჯარო კონსულტაციების ჩატარება, რაც გაზრდის დაინტერესებულ პირთა ჩართულობას, მათი მოსაზრებებისა და წინადადებების გაცნობას, რაც, თავის მხრივ, ზრდის მარეგულირებელი ორგანოს ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე და მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაგეგმილი რეგულაციების გამჭვირვალობას. საჯარო კონსულტაციების გამართვა ემსახურება საზოგადოებრივი ინტერესის იდენტიფიცირებას, ამომწურავი ინფორმაციის მიღებას, რეგულაციების გაუმჯობესებასა, კომისიის გადაწყვეტილებების და დადგენილებების ლეგიტიმურობის გაზრდას. აღნიშნულთან დაკავშირებით, კანონპროექტი განსაზღვრავს საკითხებს, რომელთა შესახებ გადაწყვეტილებას ან დადგენილებას კომისია იღებს საჯარო კონსულტაციის გამართვით, ასევე ადგენს საჯარო კონსულტაციის გამართვის ზოგად წესებს. კანონპროექტის მიხედვით, კომისია ვალდებულია საჯარო კონსულტაციის გამართვის საფუძველზე მისაღები დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების პროექტები გამოაქვეყნოს ვებ-გვერდზე და დაინტერესებულ პირებს წერილობითი მოსაზრებების წარმოსადგენად განუსაზღვროს ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღისა. კომისია ვალდებულია, განსაზღვრულ ვადაში გამოაქვეყნოს წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებები და მათზე კომისიის პასუხი. კანონპროექტი ითვალისწინებს კომისიის მიერ მისაღები ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის პროექტის შეცვლის ან უცვლელად დატო-



ვების შესაძლებლობას წერილობითი მოსაზრებების განხილვის შემდეგ. კომისიის მიერ ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც სცდება განსახილველად წარმოდგენილი საკითხის ფარგლებს, საჭიროებს ახალი საჯარო კონსულტაციების გამართვას.

## 7.2. „დაძმობილების პროექტის (ტვინინგის) მხარდაჭერით<sup>82</sup>, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის სვლილებების პროექტები

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებებიდან გამომდინარე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებთან არსებული „დაძმობილების“ პროექტის ფარგლებში, ასევე, შემუშავდა:

- საჯარო კონსულტაციების გამართვის პროცედურებისა და წესების დამტკიცების თაობაზე დადგენილების პროექტი;
- ზოგადი ავტორიზაციის და მტკიცების თაობაზე დადგენილების პროექტი;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში, მომსახურებების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი წესების დამტკიცების შესახებ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი – „ტექნიკური რეგლამენტი რადიოაპარატურის შესახებ“;
- ინტერნეტ-მმართველობისა და ქსელის უსაფრთხოების სამწლიანი სამოქმედო გეგმა.

აღნიშნული ნორმატიული აქტების პროექტების უმეტესობა და მათ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული საქმიანობა ხელმისაწვდომია და პერიოდულად ახლდება კომისიის ინტერნეტ გვერდზე. ამასთან, კომისია უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას აღნიშნული პროექტების განხორციელებაში.

ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ არ არსებობს საჯაროდ ხელმისაწვდომი ახსნა-განმარტება, თუ რატომ არ ხდება ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის ინიცირება პარლამენტში.

საკითხი, რომელზედაც ცვლილებების პროექტი არ გვაქვს, არის ამ ანგარიშის 5.4 თავში მოცემული უნივერსალური მომსახურების ვალდებულების დანერგვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო საკითხები. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით, კომისია იღებს მხარდაჭერას ევროპელი პარტნიორებისაგან – „დაძმობილების პროექტის“ სახით. პროექტი 2017 წლის დეკემბერში დაიწყო და, სხვა საკითხებთან ერთად, მიზნად ისახავს უნივერსალური მომსახურების დანერგვის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის ჩატარებას.

ამ პროექტის ფარგლებში შემუშავდა სახელმძღვანელო რეკომენდაციები, რომლებიც პრაქტიკულ საკანონმდებლო რჩევებს შეიცავს და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის განხორციელებას უზრუნველყოფს.

„დაძმობილების პროექტი“, რომელიც ექვსი კომპონენტისგან შედგებოდა, ევროკავშირის დაფინანსებით 2017 წლის 12 დეკემბრიდან ხორციელდებოდა, რომლის ძირითადი პარტნიორი ლიტვის რესპუბლიკის კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანო, ხოლო თანაპარტნიორები – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტრო და პოლონეთის რესპუბლიკის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისი იყვნენ.

82 ტვინინგ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია მოპოვებულია კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე;

## 8. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ;
2. საქართველოს კანონი მაუწყებლის შესახებ;
3. საქართველოს კანონი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ;
4. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 10 მაისის დადგენილება; №4 ინტერნეტმომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესების დამტკიცების თაობაზე;
5. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 16 სექტემბრის დადგენილება №10 „უნივერსალური მომსახურების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე;
6. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება №1 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე;
7. <http://gncc.ge/uploads/other/3/3706.pdf> კომისიის 2018 წლის წლიური ანგარიში
8. <http://gncc.ge/uploads/other/3/3117.pdf> კომისიის 2017 წლის წლიური ანგარიში
9. [https://eeas.europa.eu/delegations/georgia/37289/node/37289\\_pl](https://eeas.europa.eu/delegations/georgia/37289/node/37289_pl) ინფორმაცია ტვინინგ პროექტზე;
10. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX%3A32002L0021> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 7მარტის დირექტივა №2002/21/EC ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების ზოგადი მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ (ჩარჩოდირექტივა), რომელიც შესწორდა №2009/140/EC დირექტივით და №544/2009 რეგლამენტით;
11. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32002L0020> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 7მარტის №2002/20/EC დირექტივა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების ავტორიზაციის შესახებ (ავტორიზაციის შესახებ დირექტივა), რომელიც შესწორდა №2009/140/EC დირექტივით;
12. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX:32002L0022> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 7მარტის დირექტივა №2002/22/EC უნივერსალური მომსახურებებისა და ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებებთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებების შესახებ (უნივერსალური მომსახურებების შესახებ დირექტივა), რომელიც შესწორდა 2009/136/EC დირექტივით;
13. <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2005/58/oj> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 12 ივლისის 2005/58/EC დირექტივა პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში კონფიდენციალობის დაცვის შესახებ (კონფიდენციალობის დაცვისა და კავშირის ელექტრონული საშუალებების შესახებ დირექტივა), რომელიც შესწორდა 2006/24/EC და 2009/136/EC დირექტივებით;
14. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX%3A32002L0019> 2002 წლის 7მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/19/EC დირექტივა ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის შესახებ (დაშვების მინიჭების შესახებ დირექტივა), რომელიც შესწორდა 2009/140/EC დირექტივით;
15. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32002D06762002> წლის 7მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 676/2002/EC გადაწყვეტილება ევროპული გაერთიანების ფარგლებში რადიოსიხშირული სპექტრის პოლიტიკის მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ;
16. <http://www.dcfra.gov.ge/ge/implementation> ასოცირების შეთანხმების განხორციელების გეგმები;
17. <http://www.dcfra.gov.ge/public/filemanager/implimentation/2018-2020%20%E1%83%A C%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83 %A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%- 94%E1%83%93%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B %E1%83%90.pdf> ასოცირების შეთანხმების განხორციელების გეგმა 2018-2020 წლებისათვის;

18. [http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/implimentation/2014-2017%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D\\_%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf](http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/implimentation/2014-2017%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D_%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf) ასოცირების შეთანხმების განხორციელების გეგმა 2014-2017 წლებისათვის;
19. <http://gncc.ge/ge/regulation/sakonsultacio-dokumentebi> კომისიის საკონსულტაციო დოკუმენტები;
20. <https://www.gncc.ge/uploads/other/3/3648.pdf> საკონსულტაციო დოკუმენტი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით;
21. <http://gncc.ge/uploads/other/2/2525.pdf> შეთავაზებული ცვლილება საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ 2017 წლის მდგომარეობით.
22. [https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/2019\\_association\\_implementation\\_report\\_georgia\\_ka\\_2.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/2019_association_implementation_report_georgia_ka_2.pdf) ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ;
23. კომისიის დადგენილება: „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ;“
24. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ;
25. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ;
26. ევროკავშირის ტელეკომუნიკაციების კოდექსი; <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32018L1972&from=EN>